სპორტი

№152 (12 222)

30 ივნისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზახეთი ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროსაკლუბო ტურნირები 2007/08. წილისყრა ნიონში

ჩემპიონთა ლიგა

ასტანა
ყაზახეთი

ოლიმპი
საქართველო

უეფას თასი

დინამო
საქართველო

ვადუცი
ლიხტენშტაინი

უეფას თასი

ბელხატოვი
პოლონეთი

ამერი
საქართველო

გუშინ შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპებისა და უეფას თასის პირველი ეტაპის წილისყრა გაიმართა. სამმა ქართულმა კლუბმა მომავალ მეტოქეთა ვინაობა შეიტყო. საქართველოს ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანას" დაუპირისპირდება და თუ ორრაუნდიან ბრძოლას თავის სასარგებლოდ დაასრულებს, ნორვეგიის ჩემპიონ "როსენბორგს" შეებრძოლება. უეფას თასის საწყის ეტაპზე ჯერ "ამერის" მეტოქის ვინაობა გაირკვა. გლდანელები პოლონურ "ბელხატოვს" შეხვდებიან, ბოლოს კი თბილისის "დინამოს" მოწინააღმდეგეც გაცხადდა: ლიხტენშტაინის "ვადუცი". წილისყრის მიხედვით, "დინამოს" პირველი მატჩი გასვლაზე უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი მეტოქეს 29 ივლისს აქ შეხვდება, 3 აგვისტოს კი სტუმრად. პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავს "ოლიმპიც".

ასტანა (ყაზახეთი)

დაარსდა: 1964
პრეზიდენტი: ალექსანდრ კონოჩკინი
მწვრთნელი: ივან აზოვსკი
ვებ-საიტი: http://www.fcastana.kz/
სტადიონი: კაჟიმუკან მუნაიტპასოვი (12 343)
ფერები: შავი და ყვითელი

1964 წელს, როცა კლუბი დაარსდა, "დინამო" ერქვა. რუსთაველთა მომავალმა მეტოქემ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კიდევ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი. "ასტანა" ყაზახეთის სუპერლიგის არსებობის ისტორიაში მისი უცვლელი მონაწილეა. სამჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მათ შორის, ბოლოს 2006 წელს. "ასტანა" ყაზახეთის თასის სამგზის (2001, 2002, 2005) გამარჯვეზეა. შარშან, ჩემპიონი ჰოლანდიელი **არნო პიიპერსის** (ესტონეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი) მეთაურობით გახდა.

წლეულს, **ივან აზოვსკის** გუნდს საქმე ცუდად მისდის. "ასტანა" 17 ქულით მეათეა და ლიდერ "აქტობეს" მთელი 14 ქულით ჩამორჩება. ბოლო ტურში "ასტანა" შინ "ალმა-ათასთან" დამარცხდა - 0:1. გუნდი მისმა ლიდერმა **კუჩმამ** დააღალატა, რომელმაც უხეში შეცდომა დაუშვა. სხვათა შორის, "ალმა-ათას" ახლა სწორედ **პიიპერსი** წვრთნის. ყაზახეთის ნაკრების წევრები არიან მცველები - **ალექსანდრ კუჩმა, მაქსიმ ჟალმაგამბეტოვი**, ნახევარმცველები - **ედუარდ სერგიენკო, ანტონ ჩიჩულინი, უამბილ კუკეევი** და **პირალი ალიევი**, ფორვარდები - **მურატ სუიუმაგამბეტოვი** და **მაქსიმ აზოვსკი**. გამორჩეული ფიგურაა 27 წლის მცველი ალექსანდრ კუჩმა. ასტანას" ორი ლეგიონერიც ჰყავს: ყირგიზელი **ემილ კენჟესარიევი** და რუსი ნახევარმცველი **იგორ აკსიონოვი**.

ვადუცი (ლიხტენშტაინი)

დაარსდა: 1932
პრეზიდენტი: ჰანს-პეტერ ნეგელი
მწვრთნელი: ჰაინც ჰერმანი
ვებ-საიტი: http://www.fcvaduz.li
სტადიონი: რაინპარკშტადიონი (6 127)
ფერები: შინდისფერი, შავი

საოცარია, მაგრამ ქართული კლუბების მეტოქეთაგან, ყველაზე დიდი ხნის ისტორია ციცქნა ლიხტენშტაინის "ვადუცს" აქვს. ის 1932 წელს დაარსდა. 1992 წელს "ვადუცი" ევროთასებზე პირველად გამოჩნდა, თუმცა ეს ის შემთხვევა იყო, რომ სჯობდა, არ გამოჩენილიყო - ოდესის "ჩერნომორეცმა" მას 12:1 მოუგო. თუმცა დღევანდელი "ვადუცი" უკვე აღარ არის ხელნამოსკრავი. თავის ქვეყანაში ის ერთადერთი პროფესიული კლუბია და შინაური ჩემპიონატის უქონლობის (ლიხტენშტაინი მხოლოდ თასის გათამაშებას ატარებს) გამო, შვეიცარიის რანგით მეორე ლიგაში თამაშობს, სადაც ერთ-ერთი ლიდერია, 2004 წელს კი კინაღამ უმაღლესშიც გადავიდა. "ვადუცი" ქვეყნის თასის 33-გზის მფლობელია. "დინამოს" მომავალმა მეტოქემ, თასის ბოლო ფინალში, "რუგელი" 8:0 გაანადგურა. საგულისხმოა, რომ "ვადუცს" თასი მხოლოდ 1997 წელს არ მოუგია.

გუნდი უმთავრესად ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული, ამათ შორის კი შვეიცარიელები სჭარბობენ. არიან არგენტინელები და ბრაზილიელებიც. ადგილობრივთაგან კი გამოსარჩევია ნაკრების მცველი **დანიელ ჰასლერი**. კლუბმა ახლახან აიყვანა **რაფაელ როერერი** და გერმანელი ფორვარდი **ტიმ გროსკლაუსი**. "ბაზელიდან" იჯარით დაბრუნდა გოლკიპერი **იან სომერი**. ახლახან, "ვადუცი" "ციურიხთან" ამხანაგურ მატჩში 3:4 დამარცხდა. ერთ-ერთი გოლი სწორედ ახალწვეულმა გროსკლაუსმა გაიტანა.

ბელხატოვი (პოლონეთი)

დაარსდა: 1977
პრეზიდენტი: იერჟი ოუოგი
მწვრთნელი: ორესტ ლენჟიკი
ვებ-საიტი: http://www.gksbelchatow.pl/
სტადიონი: გკს (6 870)
ფერები: თეთრი, მწვანე, შავი

პოლონური ფეხბურთის ელიტაში მანამდე უცნობი კლუბი, პირველად, 1992 წელს გამოჩნდა. ამ სეზონის მიწურულს, "ბელხატოვმა" "ზაგლებიესთან" ბრძოლაში დაკარგა ქვეყნის ჩემპიონობა. მას ოქრომდე სულ ერთი ქულა დააკლდა. თუ არ ჩავთვლით თასის ფინალში ორჯერ გასვლას, მეორე ადგილი "ბელხატოვისთვის" უდიდესი მიღწევაა. ასე რომ, "ამერი" კარგ, მაგრამ უტიტულო კლუბს ხვდება. კლუბს ერთი ლეგიონერი ჰყავს - ჰონდურასელი **კარლო კოსტლი**. ახლახან, "ბელხატოვმა" 35 წლის მცველი **მაცეი სტოლიარჩიკი** აიყვანა. სწორედ ეს არის "ამერის" მეტოქის" ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი ფეხბურთელი. მანამდე, "ბელხატოვმა" ევროსეზონისთვის ექვსი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის, ნაკრების წევრი **პატრიკ რაჩვალი**, დანარჩენი ახალწვეულები ძირითადად ახალგაზრდები არიან. რაჩვალს ნაკრებში სულ 4 მატჩი აქვს გამართული. ის "ვისლადან" გადაიყვანეს.

ბელხატოვი (სინამდვილეში პოლონურად ასე გამოითქმის - ბევხატუფ) 60-ათასიანი ქალაქია ლოძის ვოივოდინაში. ქალაქთან ახლოსაა ევროპის ყველაზე დიდი ბირთვული სადგური. ამ სადგურის გარდა, ბელხატოვის სავიზიტო ბარათი სწორედ ჩვენი მეტოქე საფეხბურთო კლუბია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

დღეს, მიხეილ მესხზე, 19:00
ზესტაფონი ტობოლის წინააღმდეგ

შეჯევა და სწრაფი გოლი

წინასამატჩო ამბები და ბლიც-ინტერვიუ **თემურ მახარაძესთან**

2

წილისყრის შედეგები სრულად, კომენტარები 2–3

არველაძე ყატარში?

გუშინ ჰოლანდიურმა წყაროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ქართველი ფორვარდი **შოთა არველაძე** ძალიან ახლოსაა ყატარულ "ალ შამალთან" კონტრაქტის გაფორმებასთან: *"უახლოეს ხანებში შოთა არველაძემ შესაძლოა დატოვოს "ალკმაარის" რიგები და ყატარის "ალ შამალში" გადავიდეს, სადაც მას ყოფილი თანაგუნდელი "აიაქსიდან" რონალდ დე ბური ელის. დიდი საფრთხეა, "ალკმაარმა" ორი წამყვანი ფორვარდი დაკარგოს, რადგან დენი კუვერმანსი "ნიურნბერგში" გადადის".*

ჰოლანდიურ წყაროებს თუ დავუჯერებთ, შოთას "გაზიელების" შანსი დიდია, მაგრამ თავად ვეტერანი ფეხბურთელი სხვანაირად ფიქრობს. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ჰოლანდიაში ჩასვლის შემდეგ, ფეხის მდგომარეობას გამოიკვლევს და თუ ყველაფერი კარგად იქნება, თამაშს "ალკმაარში" გააგრძელებს. ყატარში მისი გადასვლით ყველაზე მეტად სწორედ დე ბური და იქ მოღვაწე მისი სიმამრი ყოფილან დაინტერესებული. არველაძე არ გამორიცხავს, რომ კარიერას დაასრულებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ექიმები ჰოლანდიაში გასინჯვის მერე დამაიმედებელს ვერაფერს ეტყვიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე



www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ბექჰემი, ალბათ, იქნება, მაგრამ ვინ არის კაპელო?

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირს, ერთადერთს, ვინც ჩვენს ჩემპიონატებში ორი ასეული გოლი გაიტანა, გაუბედეს და გუნდიდან გაუშვეს - 34 წლის **ზურაბ იონანიძე** "ზესტაფონიდან" დაითხოვეს და გუნდში ახლაღა დააბრუნეს.

ახალი სეზონისთვის მზადება "ზესტაფონმა" იონანიძის გარეშე დაიწყო, ის არც უეფას განაცხადში შეიყვანეს ინტერტოტოსთვის. "ზესტაფონში" მასზე ისიც გვითხრეს, საკადრის გაცილებას მოვუწყობთო და... იონა ისევ "ზესტაფონშია".

ის საქართველოს ჩემპიონატის კოლორიტია, შეიძლება ითქვას, სახალხო მოთამაშეც კი. მას არასდროს უთამაშია დედაქალაქურ გუნდში, მხოლოდ იმერულ კლუბებში და ამიტომაც არის ლიხსიქითა ვარსკვლავი.

"გაურკვევლობა მოხდა. რაც მოსამზადებელი პერიოდი დაიწყო, გუნდთან ერთად არ მივარჯიშია, მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი" - ასეთია იონანიძის განმარტება, ვისაც კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს "ზესტაფონთან".

გუნდიდან ხან გაუშვებენ, ხან დააბრუნებენ - გამოცდილ, სახელიან ფეხბურთელებს ასე, ალბათ, მხოლოდ "ზესტაფონში" ექცევიან. "გაურკველობა მოხდა" - გვითხრა იონანიძემ, მაგრამ ეს ალბათ სულ სხვა იყო, ვიდრე გაურკვევლობა.

"ფეხბურთში ყველაფერი ხდება. აგერ ბექჰემი გაუშვეს "რეალიდან", მაგრამ მან "რეალშივე" დაამტკიცა, რომ მაგარია. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო და შენი ისე უნდა დაამტკიცო, როგორც ეს ბექჰემმა მოახერხა" - აი, ასეთია იონა, ორდინალური განმარტების გარდა სხვანაირი განმარტებაც შეუძლია.

"რეალიდან" ბექჰემის ამთვალწუნებელ **ფაბიო კაპელოც** გაუშვეს, თანაც სულ სხვანაირად, ვიდრე ბექჰემი.

და, ვინ არის კაპელო "ზესტაფონში"?

დავით თავართქილაძე

ზურაბ იონანიძე

ინტერტოტოს თასი. ზესტაფონი-ტობოლი. საპასუხო მატჩის წინ

ორი აზრი არ არსებობს: შეტევა და სწრაფი გოლი

ფეხბურთში ყველაფერი ხდება, ბურთი მრგვალია, "ზესტაფონი" შინ თამაშობს, "ტობოლი" ალბათ ცოტა მოშვებული იქნება - არის იმედი, რის გამოც დღეს "ზესტაფონი" მოედანზე გავა და მის მხარდასაჭერად ხალხი სტადიონზე მივა.

სამბურთიანი ფორის ამოქაჩვა ევროტურნირებზე ჯერ არც ერთ ქართულ გუნდს არ მოუხერხებია და "ზესტაფონს" ისტორიაში შესვლის შანსი აქვს.

სამბურთიან უპირატესობას ემატება ისიც, რომ "ტობოლი" "ზესტაფონზე" შეძლებული გუნდია, უკეთეს პირობებში ემზადება და გუშინ თბილისში ისე ჩამოვიდა, არანაირი შეფერხება არ ჰქონია, "ზესტაფონი" კი კოსტანაიში თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავიდა...

სამი ბურთი "ტობოლის" ბადეში - ფეხბურთზე ისეთი ხალხიც დადის, სასნაულების რომ სჯერათ.

გუშინ "ზესტაფონმა" "ნორჩი დინამოს" მოედანზე ივარჯიშა. წვრთნა მსუბუქი, მატონიზირებელი იყო. ზესტაფონელებს თითქმის ყველა ჯანზე ჰყავთ - **როინ ონიანს** ახალმა ბუცმა დაუზიანა ტერფი, გუშინ ის ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, დღეს კი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს.

გაცილებით სერიოზულია **გიორგი ჭელიძის** ტრავმა. მას კუნთი ისე დაეჭიმა, რომ ჰემატომა დაემართა და ვერ ივარჯიშა. დღეს მისი მოედანზე გასვლა, ძალიან სათუოა.

წვრთნამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა, მერე კი "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს გავესაუბრეთ.

- პირველ შეხვედრაში 0:3 დამარცხდით და ახლა ალბათ სწაფ გოლზე გააკეთებთ აქცენტს...

- ორი აზრი არ არსებობს - სწრაფი გოლი და შეტევა. მაქსიმალურად მობილიზებული უნდა ვიყოთ შეტევისთვის.

- თავდასხმაში ვის გაამწესებთ? რამდენი ფორვარდით, ითამაშებთ?

- თავდასხმაში გოგი ფიფია და გაგა ჩხეტიანი იქნებიან.

- "ტობოლი" ისეთ გიგანტს ჰგავს, "ზესტაფონს" მისი დიდი ანგარიშით დამარცხება რომ არ შეუძლია?

- "ტობოლთან" პირველი თამაში წასაგები არ იყო, მაგრამ ყველასთვის ცნობილი მიზეზის გამო ასე მოხდა. "ტობოლი" საშუალო ევროპული დონის გუნდია. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, ვნახოთ...

- თამაშზე ბევრ გულშემატკივარს ელით?

- "ზესტაფონიდან" ჩვენი გულშემატკივრები ჩამოვლენ, მაგრამ დიდი რაოდენობით, ალბათ, არა. ისიც უნდა ითქვას, მატჩი ზესტაფონში რომ გამართულიყო, უფრო მეტი ხალხი მოვიდოდა და ცხადია, ეს გუნდისთვისაც უკეთესი იქნებოდა.

მოკლედ, დღეს "მიხეილ მესხზე" ახალი საფეხბურთო სეზონის პირველი მატჩია. სტადიონზე შესვლა 2 ლარი ღირს და "ზესტაფონიც" თხოვნით მიმართავს გულშემატკივარს - მოდით და გვიქომაგეთ.

დავით თავართქილაძე

მერანი

დღეს დაკომპლექტდება



თამაზ კოსტავა

"მერანის" ახალი მთავარი მწვრთნელი **თამაზ კოსტავა** ფეხბურთელებზე დაკვირვებას განაგრძობს. გუშინწინ დედაქალაქურმა გუნდმა მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა "ოლიმპთან" და მიუხედავად იმისა, რომ ურიგოდ არ უთამაშია, 0:2 დამარცხდა.

აქამდე განხორციელებული ტრანსფერების (სევასტოპულო, ბ. ნოზაძე, ავალიანი) შემდეგ "მერანში" ახალი ჯერ არავინ ჩარიცხულა. თუმცა სავარაუდო ახალწვეულთა სია უკვე ცნობილია. გუნდში დამკვიდრების შანსი აქვთ **ტყეშელაშვილსა** და **მგალობლიშვილს**, რომლებმაც შარშანდელი სეზონი "გაგრაში" გაატარეს. "ნორჩი დინამოს" წევრთაგან კი "მერანთან" კონტრაქტის გაფორმების შანსი **ლოლაძეს, ბოკუჩავას, ქობალიას, ლობჟანიძეს, ტორონჯაძესა** და **ქემუხტაშვილს** აქვთ.

გადაწყდა, რომ "მერანის" მეკარეთა მწვრთნელად **დავით მამარდაშვილი** იმუშავებს, რომელმაც ფეხბურთელის კარიერა ეს ესაა დაასრულა.

დღეს "მერანის" კრებაზე გუნდის სრული შემადგენლობა დასახელდება და შესაბამისად, ყველა წასულისა და მოსულის ვინაობა გახდება ცნობილი. რამდენიმე დღეში კი "მერანი" კოჯორში გაემგზავრება პირველ შეკრებაზე, რის შემდეგაც შავიზღვისპირეთში გადაინაცვლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

აგარის "მეშაქრე" წინა სეზონში უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძოდა, თუმცა ხელი მოეცარა. დამდეგ სეზონში გუნდის მიზანი იგივე იქნება, მწვრთნელი კი ახალი ეყოლება გოჩა ტყებუჩავას სახით.

ტყებუჩავამ სამწვრთნელო კარიერა თბილისის "დინამოში" დაიწყო. მისი მთავარმწვრთნელობით გუნდი 2001 წელს მესამე ადგილზე გავიდა ეროვნულ ჩემპიონატში. შემდეგ ის "ვიტ ჯორჯიის", საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების და "თბილისის" მთავარი მწვრთნელი იყო. ყოველივე აქედან გამომდინარე, ცოტა არ იყოს უცნაურია, თუ რატომ გადაწყვიტა ტყებუჩავამ პირველლიგელის გაწვრთნა...

- ერთი წელიწადი უმუშევარი ვიყავი და ეს მწვრთნელისთვის საკმაოდ ძნელია. მიყვარს ეს საქმე და მინდა ვიმუშავო - ამიტომაც გადაწყვიტე პირველი ლიგის გუნდის გაწვრთნა, თანაც უმაღლესში გადასვლის მოტივაცია გვაქვს.

- რა სიტუაციაა კლუბში? რამდენად ემთხვევა მიზნები საშუალებებს?

- გამოჩნდა ხალხი, ვისაც კლუბში სერიოზული საქმის კეთება უნდა. გუნდს სახელიც შეეცვალა და "აგარა" დაერქვა. "აგარის" მესვეურები გიორგი ისაკაძე და დავით ჭელიძე არიან. უკვე არსებობს კლუბის ბიუჯეტი, ფეხბურთელები ხელფას-პრემიით უზრუნველყოფილნი იქნებიან. შეკრებაც გვექნება და შესაძლოა ტრაბზონშიც კი წავიდეთ თურქეთის ნაკრების ბაზაზე.

- რომელი ფეხბურთელებით გაძლიერდება "აგარა"?

ინტერვიუ გოჩა ტყებუჩავასთან

აგარაში ამბებია: გუნდს მწვრთნელიც შეეცვალა და სახელიც



- ახლა ასეთი ფეხბურთელების ძიებაში ვართ. ვნახოთ, რა როგორ იქნება. მზადებას 1 ივლისიდან დავიწყებთ. აგარაში საკმაოდ კარგი მინდორია, რომლის მსგავსი უმაღლესი ლიგის ზოგიერთ გუნდს არ გააჩნია. კეთდება სათადარიგო მინდორიც და გეგმაშია ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგებაც. თუ "აგარა" უმაღლეს ლიგაში გადავა, გუნდს ბევრად უკეთესი პირობები ექნება.

- აქცენტს მხოლოდ ახალგაზარდა ფეხბურთელებზე გააკეთებთ, როგორც ეს, მაგალითად, "გაგრაშია"?

- პირველ ლიგაშივე მოთამაშე "გაგრის" მოდელს არ ავირჩევთ, გამოცდილი ფეხბურთელებიც დაგვჭირდება.

- თქვენი თანაშემწე ვინ იქნება?

- ლანჩხუთის "გურიისა" და თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი დავით უგრელიძე, ჩვენ თანაგუნდელები ფეხბურთელობისასაც ვიყავით "გურიაში".

დავით თავართქილაძე

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
1. ხაზარი (აზერბაიჯანი)-დინამო (ხორვატია)
2. აპოელი (კვიპროსი)-ბატე (ბელარუსი)
3. შერიფი (მოლდოვა)-რეინჯერსი (ანდორა)
4. ჰაფნარფიორდური (ისლანდია)-ჰბ (ფარერები)
5. ტნს (უელსი)-ვინტსპილსი (ლატვია)
6. ჰოგედა (მაკედონია)-ლევადია (ესტონეთი)
7. ოლიმპი (საქართველო)-ასტანა (ყაზახეთი)
8. ზეტა (ჩერნოგორია)-კაუნასი (ლიტვა)
9. ტამვერე (ფინეთი)-შერატა (სან მარინო)
10. დუდელანჟი (ლუქსემბურგი)-ჟილინა (სლოვაკეთი)
11. ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)-ელფსბორგი (შვედეთი)
12. დერი (ირლანდია)-ჰუნაი (სომხეთი)
13. მარსაქსლოკი (მალტა)-სარაევო (ბოსნია)
14. დომზალე (სლოვენია)-ტირანა (ალბანეთი)

პირველი მატჩები 17-18 ივლისს, საპასუხო 24-25 ივლისს

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
12. გამარჯვებული-შახტარი (უკრაინა)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-6. გამარჯვებული
რეინჯერსი (შოტლანდია)-8. გამარჯვებული
დებრეცენი (უნგრეთი)-11. გამარჯვებული
ზაგლებია (პოლონეთი)-სტიაუა (რუმინეთი)
გენკი (ბელგია)-13. გამარჯვებული
5. გამარჯვებული-ზალცბურგი (ავსტრია)
7. გამარჯვებული-რუსენბორგი (ნორვეგია)
4. გამარჯვებული-2. გამარჯვებული
კოპენჰაგენი (დანია)-ბეითარი (ისრაელი)
10. გამარჯვებული-სლავია (ჩეხეთი)
9. გამარჯვებული-ლევსკი (ბულგარეთი)
14. გამარჯვებული-1. გამარჯვებული
ბუდაპეშტი (თურქეთი)-3. გამარჯვებული

პირველი მატჩები 31 ივლისსა და 1 აგვისტოს, საპასუხო 7 აგვისტოს

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
დინამო (საქართველო)-ვადუცი (ლიხტენშტაინი)
ბელზატოვი (პოლონეთი)-ამერი (საქართველო)
ბ 36 (ფარერები)-ეკრანასი (ლიტვა)
დროგედა (ირლანდია)-ლიგერტასი (სან მარინო)
ჰაკა (ფინეთი)-რილი (უელსი)
კარმარტენი (უელსი)-ბრანი (ნორვეგია)
ფლორა (ესტონეთი)-ვოლერენგა (ნორვეგია)
ეგ (ფარერები)-ვიუსა (ფინეთი)
დუნგანონი (ჩრდ. ირლანდია)-სუდოვა (ლიტვა)
კერინგი (ლუქსემბურგი)-ლილესტრიომი (ნორვეგია)
მეტალურგსი (ლატვია)-ბრესტი (ბელარუსი)
ჰელსინგბორგი (შვედეთი)-ტრანსი (ესტონეთი)
მიდტიულანდი (დანია)-კეფლავიკი (ისლანდია)
კრ რეიკიავიკი (ისლანდია)-ჰაკენი (შვედეთი)
სტ. პატრიკსი (ირლანდია)-ოდენსე (დანია)
ჰიკი (ფინეთი)-ეტცელა (ლუქსემბურგი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)-აიკ (შვედეთი)
სკონტო (ლატვია)-დინამო (ბელარუსი)
ჰაიდუკი (ხორვატია)-ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
რუდარი (ჩერნოგორია)-ომონია (კვიპროსი)
სლავენი (ხორვატია)-ტეუტა (ალბანეთი)
ბეჟანია (სერბეთი)-ბესა (ალბანეთი)
სლი

www.kazbegi.com

გაეხსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

დავით სირაძე

ლეგიონერი

სირაძეს სისხლი შეუმოწმეს

რატომ ვერ ჩაირიცხა გერმანელი საქართველოს ნაკრებში?

დავით სირაძე სეზონს ახალ გუნდში იწყებს. აპრილში საქართველოს ნაკრების და "აუეს" თავდამსხმელმა მეორე ბუნდესლიგის "პადერნბორში" ორი წლით თამაშზე თანხმობა განაცხადა. დათო უკვე გერმანიაშია და ახალ კლუბში პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. მას გუშინ შევეხმიანეთ და პირველი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

"სამი დღეა, რაც ვარჯიში დავიწყეთ. სასიამოვნო იყო გუნდთან პირველი შეხვედრა - ძალიან თბილად მიმიღეს მწვრთნელმაც და ფეხბურთელებმაც. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული, ახალწვეული რამდენად მოახერხებს თავის გამოჩენას. რაც შევნიშნე, საკმაოდ მეგობრული გუნდია. ძალიან მომეწონა.

ჩასვლისთანავე სამედიცინო შემოწმება გავიარე, ყურიდან სისხლი ამიღეს და რომ დარწმუნდნენ ჯანმრთელი ვიყავი, ვარჯიშის უფლება მომცეს. სეზონის ბოლოს მიღებული ტრავმა აქ არაფერ შუაშია, ფეხი აღარ მტკივა და სრულიად მოვმჯობინდი. უბრალოდ, სეზონის დაწყებამდე ყველას მდგომარეობას ამოწმებენ, თუ როგორ და რა დოზით დატვირთონ ფეხბურთელები. ისე კი არაა, ჩვენთან რომ იციან - ბურთს რომ გადაუგდებენ და ყველას ერთნაირად არბენინებენ. აქ დატვირთვის დოზა ინდივიდუალურია. სხვათაშორის, სამედიცინო შემოწმება საინტერესო პროცესია. "ლაკტარტესტი" ჰქვია, დარბიხარ და სისხლს ყურიდან გიღებენ. ასე ამოწმებენ, ორგანიზმი რა მდგომარეობაშია."

რა ამბიციებით ხვდება "პადერნბორნი" ახალ სეზონს, იბრძოლებს თუ არა ბუნდესლიგაში გადასასვლელად? დათოს ამ თემაზეც ვესაუბრეთ.

"ალბათ, ბუნდესლიგაში გადასვლისთვის ვიბრძოლებთ, რადგან ბუნდესლიგიდან საკმაოდ ბევრი ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელი დავიმატეთ. მაგალითად, კრუპნიკოვიჩი "ჰანოვერიდან", მენერი "კარლსრუედან", ნოლლი "ალემანიიდან", ბოშკოვიჩი "კაიზერსლაუტერნიდან". იყიდეს კობიაშვილის ყოფილი თანაგუნდელი, მცველი ტომას კლასენერიც. რა ვიცი, კიდევ ბევრი კარგი ფეხბურთელია.

ძალიან მომეწონა მწვრთნელი ჰოლგერ ფაჰნი მეთოდები. სულ რაღაც სამი დღეა გვამზადებს, მაგრამ ისე კარგად ვგრძნობ თავს, მიკვირს, ასე სწრაფად ეს როგორ შევძელი. მოდუნებული კუნთების ფორმაში შესასვლელად დიდი დროა საჭირო, მან კი უკვე აზრზე მოგვიყვანა. მაგარი მწვრთნელი ჩანს."

თუ გახსოვთ, საქართველოს ნაკრებში მეკარის, ალექსანდრე ბადეს ჩამოყვანა რომ უნდოდათ? ისიც დათოს გუნდელი ყოფილა და ქართველ ფეხბურთელთან ძველი ამბები გაუხსენებია.

"გამიგია, რომ ბადეს ჩამოყვანა მაშინ სურდათ, როდესაც ჩივაძე ნაკრებში მეორედ დანიშნეს. თავად მითხრა, საქართველოს ნაკრებში რეზო არველაძეს მოვყავდი, მაგრამ რატომღაც მერე აღარ მოინდომესო და შესარჩევ ციკლში მოხვედრის შანსიც დავკარგეო. ჯერ საკონტროლო თამაშები არ ჩაგვიტარებია, მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშებით შევდივართ ფორმაში და მისი კლასის განსაზღვრა მიჭირს. წესით, ურიგო მეკარე არ უნდა იყოს. სხვანაირად მთავარ და მეორე ბუნდესლიგაში მეკარეს წლები ვინ გააჩერებდა? ვიცი, რომ "კიოლნსა" "ბოხუმშიც" უთამაშია."

"პადერნბორნი" უცხოეთში არ მოემზადება, გერმანიაში დარჩება და საკონტროლო შეხვედრებს სამშობლოში ჩაატარებს. დათო "პადერნბორნში' 14-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

"თავიდან 22 ნომერი მინდოდა, რომლითაც ადრეც მითამაშია და მიყვარს. სამწუხაროდ, დაკავებული აღმოჩნდა, მეთოთხმეტე თავისუფალი იყო და მეც ეს ავირჩიე."

სირაძემ პადერნბორგში უკვე სახლი შეარჩია და მალე ახალმოსახლეობას აღნიშნავს : "ჯერ სასტუმროში ვცხოვრობ, ბინაში კი ორ-სამ დღეში გადავალ. უკვე შევარჩიე, დამილაგებენ, ავეჯით გამოწყობენ და დავსახლდები."

მერაბ მამულაშვილი

17-წლამდელთა ნაკრები. სამზადისი

გამარჯვება გამგზავრებამდე

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თბილისიდან თურქეთს გაეგზავრა. ჰერბერტ ცანკერის გუნდი ტრაბზონში დაბინავდება და 2-8 ივლისს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ცანკერმა ამ გათამაშებაში საასპარეზოდ 18 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები: თორნიკე ნიორაძე, გიორგი შარიქაძე (ორივე დინამოს აკადემია).

მცველები: თორნიკე კაკუშაძე, ერნესტ ახალბედაშვილი (ორივე დინამოს აკადემია), ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), ალექსი ქაშაკაშვილი (სულაქველიძის აკადემია)

ნახევარმცველები: დავით რიგვავა, დავით ლორთქიფანიძე, დავით მეგრელიშვილი, ლუკა გუგუჩია, ნიკა შონია (ყველა ოლიმპის აკადემია), გიგა მელიქიშვილი (კახეთი), მერაბ მამულაძე (ბათუმი), ნიკა ძალამიძე (ბაია).

თავდამსხმელები: ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი), ირაკლი შეყილაძე (ბაია), ოთო მეუნარგია (დინამოს აკადემია), ზურაბ ხურციძე (ტორპედო).

თურქეთში გამგზავრების წინ 17-წლამდელებმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს. ცანკერის გუნდი "შერანთან" 1:1 ფრეს კი დასჯერდა, მაგრამ გუშინ თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდი 3:2 დაამარცხა. მატჩი სულაქველიძის აკადემიის სპორტკომპლექსში გაიმართა. ჭაბუკთა ნაკრებიდან გოლები **ხურციძემ, ვაშაკიძემ** და **მეუნარგიამ** გაიტანეს.

დაბოლოს, ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე, 3 ივლისს თურქეთს ეთამაშება, 5-ში კი ალბანეთს.

დავით ცაბაძე

ქემოკლიძე თავისუფალი აგენტია

რევაზ ქემოკლიძეს თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა. ახალი ხელშეკრულების გაფორმება არც მას სურდა და დარჩენა კლუბსაც არ შეუთავაზებია.

პირიქით, ამ დროს ქემოკლიძე დიდ ხანი ელოდა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა მცველმა "დინამოში" თავი ვერ გამოავლინა. მას სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა და ამ პერიოდში, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა. მერე კი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა და განათხოვრებით თამაშიც სანატრელი გაუხდა. დიდი ხანი უმაღლეს ლიგაში არც გამოდიოდა, მხოლოდ ბოლო ნახევარი სეზონი დაეხმარა საჩხერის "ჩიხურას", ეს იყო და ეს.

მისი თქმით, ახლა თავისუფალი აგენტია, თეთრიც არაა მასში გადასახდელი და ახალ კლუბს ეძებს: "ახლა ისევ შემიძლია კარიერაზე ვიფიქრო. ჯერ 28 წლის ვარ და ყველაფერი დაკარგული არაა. ახლა ჩემში თეთრიც არაა გადასახდელი და თავისუფლად შემიძლია ახალი გუნდის მოძებნა. მაიმედებს ის ფაქტი, რომ გერმანიის, კვიპროსის და აზერბაიჯანის გუნდები დაინტერესდნენ.

ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ამბიციურ კლუბში მოვხვდე და დავამტკიცო, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვიყავი, ნაკრებში შემთხვევით არ მიწვევდნენ და რომ მაღალ დონეზე თამაში ჯერ კიდევ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს, 28 წლის ვარ. ამიტომაც ვიკავებ ჯერ თავს მეორეხარისხოვან ლიგებში გადასვლაზე. თუკი გერმანიაში ვითამაშებ, მერე უკვე სანაკრებო ამბიციებიც დამიბრუნდება. ვიცი, რომ ძველი ფორმის დაბრუნება შემიძლია და ჩემი ამბიციების საფუძვლიანობის დამტკიცებას შევეცდები. სხვათაშორის, "დინამოში" ჩემი უთამაშებლობა სპორტული მიზეზებით არ იყო გამონვეული. თავის დროზე ახალ პირობებზე ვერ შევთანხმდით და ჩვენი გზები ამის გამო გაიყო", - გვითხრა ქემოკლიძემ.

მერაბ მამულაშვილი

ბათუმი

ოპტიმიზმის საფუძველი არაა

დრო გადის, "ბათუმის" ბიუჯეტი კი ჯერაც არ დამტკიცებულა. თუკი რამდენიმე დღეში კლუბის დაფინანსების საკითხი დადებითად არ გადაწყდა, მისი მთავარი მწვრთნელი **ამირან გოგიტიძე** *თანამდებობას დატოვებს.*

"ეს გუნდი ძალიან მიყვარს და მისთვის ძალიან ბევრის მოთმენა შემიძლია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ბოლო სამი წელია გაჭირვებით ვარსებობთ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. სამწუხაროდ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბათუმს მომავალ სეზონში ბრძოლისუნარიანი გუნდი არ ეყოლება. შეიძლება, უარესიც მოხდეს... თუ საქმისადმი სერიოზული მიდგომა ვერ დავინახე, კლუბს დავტოვებ", - აცხადებს გოგიტიძე.

ლევან ჯანეზაშვილი

მინი-ფეხბურთი. ინტერვიუ დავით კირკიტაძესთან

ვის დარჩება პრეზიდენტის თასი?

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ტურნირი მინი-ფეხბურთში, პრეზიდენტის თასის გათამაშება 10 ივლისს დაიწყება. წლეულს ეს გათამაშება მესამედ ჩატარდება. ტურნირის პრეზენტაცია კი დღეს ქუთაისში გაიმართება. შეჯიბრის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანსა და გათამაშების ორგანიზატორ დავით კირკიტაძეს გავესაუბრეთ...

- ეს ტრადიციული ტურნირია და წლეულს მესამედ ჩატარდება. გათამაშება ყველაზე მასშტაბურია და წელს მასში, მთელი საქართველოდან 40 ათასი მონაწილე იასპარეზებს. ტურნირი სამ ეტაპად ჩატარდება, ჯერ რაიონულ, მერე რეგიონულ, ბოლოს კი ქვეყნის მასშტაბით. ეს ბოლო, დასკვნითი ეტაპი შავიზღვისპირეთში ჩატარდება. ამჟამად სწორედ დასკვნითი ეტაპის ორგანიზებას ვაკეთებთ, შავიზღვისპირეთში განთავსებისთვის სასტუმროებს ვეძებთ, სადაც ფინალური ეტაპის მონაწილენი დაბინავდებიან.

პირველ რიგში ეს ტურნირი ფეხბურთის პოპულარიზაციას და რეგიონებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ისახავს მიზანს. გვინდა ტურნირის მასშტაბი ყოველწლიურად გავზარდოთ და რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იცხოვროს ჯანსაღი წესით.

- როგორც გავიგეთ ამ ტურნირის პრეზენტაცია ხვალ იმერეთში გაიმართება...

- დიახ, პრეზენტაცია შაბათს, 30 ივნისს ქუთაისში გაიმართება. პრეზენტაციისთვის ქუთაისი შემთხვევით არ შეგვირჩევია. ქუთაისიდან, იმერეთიდან და საერთოდ დასავლეთ საქართველოდან ყოველთვის გამორჩეული ფეხბურთელები მოდიოდნენ საბჭოურ ეპოქაში თბილისის "დინამოში", ამჟამად კი საქართველოს ნაკრებ გუნდებში. ვფიქრობთ, რომ ფეხბურთის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდება, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში.

- ტურნირი როდის დაიწყება?

- 10 ივლისს. მანამდე, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერ ოფისს, გაიაროს რეგისტრაცია და ჩაერთოს ტურნირში. გათამაშება მთელ ზაფხულს გასტანს. პირველი ეტაპი რაიონული მასშტაბისაა და ივლისშივე დამთავრდება, მერე აგვისტოს შუა რიცხვებამდე რეგიონული ეტაპი ჩატარდება. აგვისტოს მერე ნახევარში კი უკვე დასკვნითი ეტაპი დაიწყება.

- ალბათ ტურნირის მონაწილეთა შორის ცნობილი სახეც ბევრი იქნება...

- ტურნირის ხიბლიც ისაა, რომ მასში მონაწილეობენ ვეტერანები და ფეხბურთის მოყვარულები, რომელთა შორის მართლაც ბევრი ცნობილი ადამიანია. ჯერეჯერობით არცერთ გუნდს არ გაუვლია რგისტრაცია და ვერ გეტყვით, რომელი ცნობილი ადამიანი იასპარეზებს. შარშან კი ისეთი ცნობილი ფიგურები ასპარეზობდნენ, როგორებიცაა გიორგი არველაძე, ოთარ კორღალიძე, გიორგი ნემსაძე, მერაბ მეგრელაძე, გოჩა ჯამარული, რევაზ ჩელებაძე... ზაფხულში რეგიონები სავსეა დამსვენებლებით და ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, მათ დრო სასიამოვნოდ გაატარონ.

- გათამაშების რეგლამენტზე რას გვეტყოდით?



დავით კირკიტაძე

- მატჩი ორი ოცწუთიანი ტაიმისგან შედგება. რაიონის გამარჯვებულები რეგიონულ ეტაპზე იასპარეზებენ, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდება.

ტურნირი ორჯერ საბურთალოს გუნდმა მოიგო. ამ გუნდს დიდი კონკურენცია გაუწია, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის გუნდმა. ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სამეგრელოსა და იმერეთის გუნდებმა. ვიმედოვნებთ, წლეულსაც დიდი კონკურენცია იქნება და პრეზიდენტის თასი თბილისში კი არ დარჩება, რომელიმე რეგიონის წარმომადგენელი მოიგებს.

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი

არგენტინა უმთავრესი ფავორიტია

კოლუმბიელმა გულშემატკივარმა საყვარელი გუნდი გინეგით აიკლო...

C ჯგუფი

არგენტინა–აშშ	**4:1**

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გაბრიელ მილიტო, ჰაინცე, ვერონი (86. გახო), მასკერანო, კამბიასო (58. აიმარი), რიკელმე, მესი (79. ტევესი), კრესპო.

აშშ: კელერი, ბორნშტეინი, უაინი, დემერიტი, კონრადი, ოლსენი (62. გეივენი), მეპი, ფაიჰაბერი, კლარკი (79. ბეკერმანი), ტეილორ ტველმანი (69. გომესი), ედი ჯონსონი.

გოლები: 0:1 ჯონსონი (9-პენ), 1:1 კრესპო (11), 2:1 კრესპო (64), 3:1 აიმარი (78), 4:1 ტევესი (85).

პარაგვაი–კოლუმბია	**5:0**

პარაგვაი: ვილიარი, ვერონი, კასერესი, და სილვა, ბონეტი, ბარეტო, რივეროსი, მორელი, სანტანა (79. ვერა), სანტა კრუსი (84. დანტე ლოპესი), ოსკარ კარდოსო (70. კაბანიასი).

კოლუმბია: კალერო, ბალიეხო, კორდობა, იეპესი, არისალა (63. მარონი), ალვარო დომინგესი (56. ტორესი), ვიაფარა, ვარგასი, ფერეირა, როდალიეგა (76. რეი), პერეა.

გოლები: 1:0 სანტა კრუსი (30), 2:0 სანტა კრუსი (46), 3:0 სანტა კრუსი (80), 4:0 კაბანიასი (85), 5:0 კაბანიასი (88).

არგენტინის ნაკრებმა პირველივე შეხვედრაში საკუთარი შესაძლებლობები მთელი ბრწყინვალებით წარმოაჩინა. შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ მიმომხილველები კიდევ უფრო დარწმუნდნენ, რომ "ალბისელესტე" კოპა ამერიკის უპირველესი ფავორიტია. დიახ, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები **ალფიო ბასილეს** ბიჭებს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, არგენტინა ფინალში გავა და ჩემპიონის სტატუსს დაისაკუთრებს. სამხრეთამერიკელებმა შეტევაში მრავალფეროვანი და ეფექტური თამაშით დაგვამახსოვრეს თავი. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, წლევანდელ კოპა ამერიკაზე ასეთი ძლიერი შემადგენლობა არავის ჩაუყვანია. თვალშისაცემია, რომ გუნდი უაღრესად მოტივირებული და მონდომებულია. არგენტინელები შეხვედრის დებიუტში შექმნილ სერიოზულ პრობლემასაც არ შეშინებიან. მეცხრე წუთზე **გაბრიელ მილიტომ** საკუთარ საჯარიმოში შეცდომა დაუშვა და **ჯონსონი** წესების დარღვევით შეაჩერა. ჩილელმა **კარლოს ჩანდიამ** არ დაახანა და უმალ 11-მეტრიანი დარტყმა დანიშნა. ჯონსონს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. **რობერტო აბონდანსიერიმ** გუნდს ვერ უშველა. ამის შემდეგ ამერიკელები 11 კაცით დაცვაში ჩაჯდნენ. როგორც წესი, ამ დროს შეტევაში მყოფ გუნდს სერიოზული პრობლემები ექმნებათ. დაგვეთანხმებით, ძნელია ეშელონური დაცვითი წინააღობების გადალახვა, თუმცა არგენტინას გაუმართლა და მეტოქეებს სიხარული ზუსტად ორ წუთში ჩააშხამა. **ერნან კრესპომ კეისი კელერის** მიერ დაშვებული შეცდომით ისარგებლა. მეორე გოლის გასვლამდე დიდი დრო გავიდა. "ალბისელესტე" დიდი ძალებით უტევდა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ამერიკელები მთელი შემადგენლობით იცავდნენ თავს. მრავალი გამოუყენებელი მომენტის მიუხედავად, ბასილეს ყოველი შეგირდი დარწმუნებული იყო, რომ მათი ნაკრები გაიმარჯვებდა.

შესვენების შემდეგ არგენტინა კვლავ მოტივირებული გახლდათ. აშშ-ს სულ უფრო და უფრო სერიოზული პრობლემები ექმნებოდა. ამასობაში, 64-ე წუთიც დადგა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ალბისელესტემ" ულამაზესი კომბინაცია მოაწყო. **მესისა** და **რიკელმეს** მიერ ნამოწყებული მართლაც ულამაზესი შეტევა კრესპოს არანაკლებ ლამაზი გოლით დასრულდა. შეუძლებელია, გულშემატკივარი ამ ეპიზოდით არ აღფრთოვანებულიყო. მოგვიანებით, ბასილემ მოედანზე **აიმარი** გამოიყვანა. პაბლიტომ ეროვნულ გუნდს ძალა და ხალისი შემატა. ამერიკელებს მისი შეჩერება ძალიან გაუჭირდათ. "სარაგოსის" ერთ-ერთმა ლიდერმა რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა. ბოლოს კი ხელსაყრელ პოზიციაზეც აღმოჩნდა და თავური დარტყმით უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ეს ანგარიში სამხრეთამერიკელებს დამშვიდების საშუალებას აძლევდა, მაგრამ მათ შეტევები გააგრძელეს. კელერს თავის მოსაფხანადაც არ ეცალა. საფინალო სასტვენამდე სულ რაღაც ხუთი წუთი რჩებოდა, როცა შეცვლაზე შესულმა **კარლოს ტევესმა** მცველებს აჯობა და არგენტინას დიდი ანგარიშით გაამარჯვებინა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაში თავდაპირველად სენიორ ალფიო ბასილე წარდგა: *"დღევანდელი შეხვედრა ძალიან რთულად დაიწყო ჩვენთვის. როგორც ნახეთ, დებიუტში პენალტით გაგვიტანეს. ბუნებრივია, ამით მეტოქემ სერიოზული უპირატესობა მოიპოვა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ბიჭები არ გატყდნენ და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდს მყისიერი პასუხი გასცეს. სულ რაღაც ორ წუთში ანგარიში გავათანაბრეთ. უპირველეს ყოვლისა, მსურს ავღნიშნო, რომ არგენტინის ნაკრებმა ნახევარდაცვასა და თავდასხმაში შესაშური სოლიდურობა გამოავლინა. ჩვენი მეტოქე მთელ ყურადღებას დაცვას აქცევდა, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სახიფათო კონტრიერიშების მოწყობის შანსი არ ჰქონდათ? ნახევარდაცვამ ამერიკელებს სწორედ საამისო შანსი მოუსპეს. ფორვარდებს ისინი სახიფათო პასებით ამარაგებდნენ. ერნან კრესპომ საუცხოო მატჩი ჩაატარა. ვფიქრობ, ის გენიალური ფეხბურთელი და დიდი პროფესიონალია. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიონელ მესიმაც. არ მინდა იფიქროთ, რომ სხვების ღვაწლს ვივიწყებ. არავითარ შემთხვევაში! აიალა, მილიტო და ჰაინცე დაცვაში მეტისმეტად საიმედოდ იდგნენ. დღევანდელი თამაშის ხარისხის გათვალისწინებით, შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ "ალბისელესტე" კოპა ამერიკის უპირველესი ფავორიტია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ფინალში გავიმარჯვოთ."*

ბობ ბრედლი, ცხადია, განსხვავებულ განწყობაზე იმყოფებოდა: *"უნდა ვაღიარო, რომ არგენტინელებმა აშკარად გვაჯობეს. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ აშშ-ს წარუმატებლობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ რამდენიმე დღის წინათ კონკაკაფის ტურნირში გავიმარჯვეთ. ბიჭები ფიზიკურად და მორალურად გადაღლილები იყვნენ. გარდა ამისა, ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. ამ პრობლემების მიუხედავად, წაგებას არ ველოდით. მით უმეტეს, ასეთი დიდი ანგარიშით. ალფიო ბასილეს გამარჯვებას ვულოცავ. ვიმეორებ, არგენტინამ ყოველმხრივ გვაჯობა..."*

პარაგვაიმ კოლუმბია მიწასთან გაასწორა. სხვა სიტყვების გამონახვა, უბრალოდ, შეუძლებელია. **როკე სანტა კრუსმა** და კომპანიამ მოწინააღმდეგეები პირწმინდად დაჩაგრეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ პირველი გოლის გატანის 100-პროცენტიანი შანსი კოლუმბიას ჰქონდა. შეხვედრის 25-ე წუთზე პარაგვაელთა კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ **უგო როდალიეგას ხუსტო ვილიარმა** აჯობა. მეკარემ ბურთი თავგანწირული ნახტომით მოიგერია. ამის შემდეგ **ხერარდო მარტინის** შეგირდებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქისგან არაფერი დატოვეს. **სანტა კრუსმა** კარიერის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა. ბუნებრივია, გამარჯვებაში მისმა ჰეთ თრიკმა განსაკუთრებული როლი შეასრულა. კოლუმბიიდან მეზობელ ვენესუელაში ჩასული ათასობით ინჩასი, საცოდავი სანახაობის მომსწრე გახდა. ისინი პროტესტის კატეგორიულ გამოხატულებებსაც არ მოერიდნენ და ფეხბურთელებს უშვერი სიტყვებით გინება დაუწყეს. ყველაზე მეტად მთავარ მწვრთნელს ლანძღავდნენ. სენიორ პინტოს ღორის შვილს, ბოზის შვილსა და ნაბიჭვარს უწოდებდნენ. კოლუმბიელთა დამრიგებელმა პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ ამ გამოხდომების მოთმენა ძალიან გაუჭირდა: *"ვერავინ დამარწმუნებს, რომ დღევანდელი ფიასკო ჩემზე მეტად ვინმემ განიცადა. სასოწარკვეთილი გახლავართ, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, ვი გულშემატკივრების წინაალმდეგ გავილაშქრო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საყაიმო ანგარიში იყო, ისინი თავს გვესხმოდნენ და მხარდაჭერის ნაცვლად, დედას გვაგინებდნენ. გამოგიტყდებით, დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმისთვის, რომ ტრიბუნაზე არ ავვარდნილიყავი და მათთვის საკადრისი პასუხი არ გამეცა. დასანანია, რომ პატიოსან ქომაგებს იმედები გავუცრუეთ. მათ ბოდიშს ვუხდი და პირობას ვაძლევ, რომ მომდევნო შეხვედრებში უფრო კარგად ვითამაშებთ. ამ წაგების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის შანსები გავიუარესეთ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. მთავარია, ეს კატასტროფა დავივიწყოთ და ყველაფერი ნულიდან დავიწყოთ. დაუშვებელია, რომ მოთამაშეებმა სტრესისა და წნეხისგან გათავისუფლება ვერ შეძლონ."*

ხერარდო მარტინომ კი თამაში ასე შეაფასა: *"დიდი ანგარიშით გამარჯვებამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ. კოლუმბიელები, როგორც ჩანს, გამოუყენებელმა 11-მეტრიანმა გატეხა. ყოველ შემთხვევაში, საწყისი ნახევარი საათის განმავლობაში ისინი სერიოზულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. სენიორ პინტოს შეგირდები არც მას შემდეგ გვეპუებოდნენ, რაც როკე სანტა კრუსმა ანგარიში გახსნა, თუმცა მოგვიანებით, რაღაც დაემართათ და ჩვენ თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მოგვეცა. ბიჭების ასპარეზობით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ ჯერჯერობით, არაფრისთვის მიგვიღწევია. წინ გაცილებით უფრო რთული პაექრობები გველის."*

ილია ნიკოლაიშვილი

ფეხბურთის მოყვარულთათვის!

ლუდის ბარი "ბუდაპეშტი" გთავაზობთ FOOTBALL SHOW-ს დონ ედოსთან ერთად. "კოპა ამერიკისა" და საფეხბურთო სამყაროს სხვა სიახლეები, მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები, ვიქტორინა, პრიზები და უამრავი სიურპრიზი ენერგიული მუსიკის ფონზე. ჩაიძირე ფეხბურთის სამყაროში და ददაგემოვნე ქართული და ევროპული სამზარეულო.

დასაწყისი 21 საათზე. მისამართი: ბუდაპეშტის ქ. 7 (საბურთალოზე).

საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ლელო"



ფრენკ ლემპარდი

ტრანსფერის მოლოდინში

ლემპარდი 23 მილიონად

ბარსელონამ ფული გაამზადა, ფრენკი ჩელსიში ვარჯიშის განახლებას აპირებს

"ბარსელონა" მომავალი სეზონისთვის სერიოზულად ემზადება. მოგეხსენებათ, კატალონიურმა გრანდმა სამი ფეხბურთელი გადაიბირა. **ტიერი ანრი, იაია ტურე** და **ერიკ აბიდალი** შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, თუმცა **ჩიკი ბეგირისტაინი** მიღწეულით არ კმაყოფილდება. კატალონიელები **ფრენკ ლემპარდის** ხელში ჩასაგდებად განაგრძობენ ბრძოლას. ინგლისელი ვარსკვლავი "ჩელსის" კონტრაქტის გახანგრძლივებასა და პირობების გაუმჯობესებაზე ვერ უთანხმდება. ბეგირისტაინი ლონდონელებს 23 მილიონ ევროს სთავაზობს. ლემპარდის კონტრაქტში ორი წელიწადია დარჩენილი. ფეხბურთელი ასეთ კომენტარს აკეთებს: *"ვცდილობ, კონტრაქტზე არ ვიფიქრო. მომქანცველი სეზონის შემდეგ, ოჯახთან ერთად განმარტოება მინდა. იდეალური იქნებოდა, თუ საკითხს ახალი სეზონის დაწყებამდე მოეფინებოდა ნათელი, მაგრამ ჩვენ ხომ იდეალურ სამყაროში არ ვცხოვრობთ? შვებულების შემდეგ "ჩელსიში" დაბრუნებას ვაპირებ. ასოციაციის თასის ფინალის შემდეგ ვთქვი, რომ ლონდონში დარჩენა მინდა. იმ დღის შემდეგ არაფერი შეცვლილა... ახალი კონტრაქტი? არ მიკვირს, რომ მოლაპარაკებები აქტიურად არ მიმდინარეობს. მე ორი წელიწადი მაქვს დარჩენილი. კლუბი ალბათ ვერ ხედავს პირობების გადასინჯვის საჭიროებას."*

ფრენკი ეს-ესაა ესპანეთიდან დაბრუნდა. მან ერთი კვირა კუნძულ იბისაზე გაატარა. ლემპარდს არასოდეს დაუმალავს განსაკუთრებული სიმპათია ესპანეთისა და ესპანური ფეხბურთის მიმართ. ორ წელიწადზე მეტია, ის ესპანურ ენას სწავლობს, მაგრამ ყოველ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ გატაცებას არაფერი აქვს საერთო მის შესაძლო სამომავლო კარიერასთან. გულშემატკივარს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ფრენკის გერლფრენდი **ელენი** კატალონიელია. "ჩელსი" ორშაბათს შეიკრიბება. ერთი კვირის შემდეგ "არისტოკრატები" ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერები

გალიანი: კასანო? ვნახოთ, ვნახოთ...

როგორც ირკვევა, "მილანი" **ანტონიო კასანოს** ტრანსფერის საკითხს უბრუნდება. ეს ამბავი "გაძეტა დელო სპორტს" "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმაც** დაუდასტურა. კასანოს მადრიდული მომავალი ფრიად მყიფეა, მით უმეტეს, **ფაბიო კაპელოს** წასვლის შემდეგ, საეჭვოა, ანტონიო "რეალში" დარჩეს. ესპანეთის ჩემპიონს ზედმეტი თავსატეხი არ სჭირდება. ფეხბურთელს იტალიაში დაბრუნება სურს. თუმცა ძალიან ცოტაა იმ კლუბთა რიცხვი, ვინც მასთან საქმის დაჭერას ისურვებდა, ცოტაა, მაგრამ მაინც არის. კასანო ძალიან მოსწონს "ინტერის" მწვრთნელ **რობერტო მანჩინის**. იყო საუბარი "ნაპოლიზეც", რომელიც სერია A-ში დაბრუნების შემდეგ თავდასხმის გაძლიერებას აპირებს...

რაც შეეხება "მილანს", თუ გახსოვთ, ამაზე იანვარშიც იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ "როსონერიმ" **რონალდო** იყიდა და სწორადაც მოიქცა. ეტყობა, კასანოს თემის ხელახალი წამოწევა **რიკარდო ოლივეირას** მოსალოდნელმა აბარგებამ გამოიწვია. ოლივეირას "მილანში" საქმეები ვერ აეწყო. მან **კარლო ანჩელოტის** იმედები ვერ გაამართლა, თუმც დასაწყისი ურიგო არ ჰქონდა. შედეგად, ბრაზილიელმა ფორვარდმა გათავისუფლება ითხოვა. ესპანური პრესის ინფორმაციით, ოლივეირას "რეალი" ეპატიჟება. ჰოდა, რაღა უდგას წინ გაცვლით ოპერაციას? მაგრამ ასე მარტივადაც არ არის საქმე. კასანოს მილანური ტრანსფერი არც მარტო ფულზეა დამოკიდებული და არც მავანის სურვილებზე. გალიანი ამას "გაძეტასთვის" გაკეთებულ კომენტარში განმარტავს:

"კასანო ყოველთვის მომწონდა. იანვარში მისი გადმოსვლის ვარიანტს განვიხილავდით და გადავწყვიტე, კლუბში გამოკითხვა მოგვეწყო. ეს იმიტომ, რომ მე დემოკრატი ვარ და ვამჯობინებ, საკამათო საკითხებზე ყველა მსჯელობდეს. აღმოჩნდა, რომ კასანოს ტრანსფერს ბევრი არ უჭერდა მხარს. ახლა შეგვიძლია, გამოკითხვა კიდევ ერთხელ ჩავატაროთ. დამჭირდება თუ არა ანჩელოტის დარწმუნება? არა, რადგან იანვარში მას კასანოზე უარი არ უთქვამს".

...მაგრამ უარი თქვა ფეხბურთელთა ერთმა ნაწილმა, იმის შიშით, რომ კასანო "მილანის" ჰარმონიულ ოჯახში დისონანსს შეიტანდა. საინტერესოა, რა შეიცვალა ახლა და რატომ უბრუნდება გალიანი ამ საკითხს? როგორც ჩანს, მას ახლა მეტი იმედი აქვს. ეტყობა, ვიცე-ბოსმა კარგად "იმუშავა" და იმ "ერთმა ნაწილმა" იდეას მწვანე შუქი აუნთო. ასე რომ, გზა ხსნილია?

ანტონიო კასანო

ფაბრიციო მიკოლი

მიკოლი: იუვე არა, პალერმო

იტალიური სააგენტოების ცნობით, **ფაბრიციო მიკოლი** ამ დღეებში "პალერმოს" ფეხბურთელი გახდება. მოსალოდნელი იყო, რომ 27 წლის ფორვარდი, რომელმაც ორი წელიწადი "ბენფიკაში" არენდით ითამაშა, ტურინში დაბრუნდა. მით უმეტეს, **კლაუდიო რანიერიმ** სპეციალური კომენტარიც გააკეთა - მიკოლი ის მოთამაშეა, რომელიც "იუვენტუსს" ძალიან სჭირდებაო. მაგრამ ვითარება, ისევ და ისევ, **დავიდ ტრეზეგემ** შეცვალა. რაკი ფრანგი ფორვარდი დარჩა, ეტყობა, რანიერის ახალი ფორვარდის საკითხი აღარ აღელვებს.

"პალერმოში" კი ცვლილებები მოხდა. **ანდრეა კარაჩოლო** "სამპდორიაში" გადავიდა, ბოლო ძირითად ფორვარდ **დავიდ დი მიკელეს** ტოტალიზატორით გატაცებისთვის მკაცრი სასჯელი ელის. ამიტომ, სიცილიელთა ახალი მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონო** სასწრაფოდ ითხოვს დანაკლისის შევსებას. გავრცელებული ინფორმაციით, "პალერმო" მიკოლიში 3.5 მილიონ გირვანქას იხდის. ამბობენ იმასაც, რომ კლუბის პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** მზადაა, ცენტრალური მცველი **ანდრეა ბარძალიც** კი ჩართოს გაცვლით მანევრში, მაგრამ ირკვევა, რომ ხსენებული თანხა "იუვესთვის" სრულიად მისაღებია.

სხვათა შორის, "პალერმო" ერთადერთი არაა, ვისაც მიკოლიზე პრეტენზია აქვს. ჯერ ერთი, რომ "ბენფიკას" მასზე ხელი საბოლოოდ არ აუღია და შეიძლება, ფეხბურთელის არენდის გაგრძელებაზეც იზრუნოს, ან სულაც გამოსყიდვაზე. ბოლო პერიოდში მიკოლის სახელს "ნაპოლისაც" უკავშირებდნენ...

იუვენტუსი

ჭურინს კანავაროსი არ სჯერა

კობოლი ჯილი: დაბრუნება ყოველთვის ძნელია, მილიტოც ჭირს...

"იუვენტუსში" **ფაბიო კანავაროს** დაბრუნების საკითხი ბოლო დღეებში აქტიურად განიხილებოდა, მაგრამ ტურინული გრანდის პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი**, რომელმაც უკვე მოსინჯა ნიადაგი, აცხადებს, რომ ამ ტრანსფერისა არ სჯერა. არადა, "იუვენტუსს"დაცვის საქმე მოსაწესრიგებელი აქვს. აკი თქვა კიდეც **კლაუდიო რანიერიმ**, უკანა ხაზი შესავსებიაო. როგორც იცით, კანავაროს გარდა, ამ პრობლემატური ხაზის შესავსებად **გაბრიელ მილიტოცაა** შეგულებული. მილიტო ახლა "კოპა ამერიკაზეა" და "იუვენტუსისთვის" არ სცხელა. არადა, "იუვემ" მას ულტიმატუმიც წაუყენა. ფეხბურთელმა გადაწყვეტილება დროულად უნდა მიიღოს. "კოპა ამერიკის" დაწყებამდე ეს ვერ მოხერხდა, ტურნირი კი ივლისის შუა რიცხვებამდე გასტანს და შესაბამისად, მანამდე არაფერს უნდა ველოდოთ. ერთადერთი შანსი ისაა, რომ არგენტინა მალევე გავარდეს, მაგრამ არც ესაა რეალური...

ამ დროს კი კანავაროს დაბრუნების ამბავში სერიოზული წინააღმდეგობაა. ისე ჩანს, თითქოს ამ წინააღმდეგობას თავად "იუვენტუსი" ქმნის. ამიტომაც ვერ გამოიღო შედეგი ტურინელთა გენერალური მენეჯერის **ჟან-კლოდ ბლანისა** და სპორტული დირექტორის **ალესიო სეკოს** მოლაპარაკებამ კანავაროს აგენტ **ენრიკო ფედელესთან**. საინტერესოა პრეზიდენტ კობოლი ჯილის კომენტარი: *"დაბრუნება ყოველთვის რთულია. ჩვენ მადლობელნი ვართ ყველასი, ვინც "იუვენტუსს" წარსულში სახელი მოუტანა, მაგრამ დღეს წინ უნდა ვიყუროთ".*

შესაძლოა, ტურინელებს კანავაროს ასაკი არ აწყობთ. რა თქმა უნდა, ამ ფეხბურთელის ნიჭი და გამოცდილება ფასდაუდებელია, მაგრამ დგება მომენტი, როცა მართლა წინ უნდა იყურო და ალტერნატივის სახით შედარებით ახალგაზრდა მოძებნო. ამას მილიტოს მისამართით ვამბობთ. ისიცაა, რომ მილიტოს ყიდვა "რეალსაც" უნდა, მაგრამ "სარაგოსას" ურჩევნია, არგენტინელი უცხოეთში გაუშვას, ვიდრე ესპანურ კლუბს დაუთმოს. არაგონელთა გათვლა უდაოდ ლოგიკურია. ახლა კი ისევ კობოლი ჯილის მოვუსმინოთ:

"ჩვენ გვჭირდება ცენტრალური მცველი და მილიტოს თაობაზე მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებთ, მაგრამ შეთავაზებასა და მოთხოვნას შორის ჯერჯერობი გარკვეული სხვაობაა. ახლა სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობთ და არა მგონია, მილიტოსთან კონტრაქტის გაფორმება ადვილი საქმე იყოს".

ფაბიო კანავარო

"იუვეს" პრეზიდენტს ფორვარდ **რაფაელე პალადინოს** მომავალზეც ჰკითხეს. ის ფაქტი, რომ **დავიდ ტრეზეგემ** კონტრაქტი გააგრძელა, ახალგაზრდა პალადინოს თამაშგარეში დარჩენას უქადისო, ვარაუდობენ მიმომხილველები. თუმცა ბოსი ასე არ ფიქრობს: *"პალადინო არ იყიდება. მეტსაც გეტყვით, ის ერთ-ერთი იმათგანია, ვისიც რანიერის სჯერა და ვისაც ახალი გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად მოიაზრებს".*

სერია A. 2007/08

თარიღები დადგინდა, ახლა კალენდარი...

"ლეგა კალჩომ" სერია A-ს ახალი კონტურები მოხაზა. **რობერტო დონადონისა** და "სკუადრა აძურისთვის" ახალი და სანუგეშო არაფერია. საფეხბურთო ლიგამ არ გაითვალისწინა ფედერაციისა და ნაკრების მწვრთნელის მოთხოვნა და ჩემპიონატის დაწყება მაინც 26 აგვისტოს გადაწყვიტა. დონადონი ითხოვდა, რომ სტარტი ერთი კვირით ადრე, 19 აგვისტოს დანიშნულიყო, რადგან სექტემბრის შესარჩევი მატჩებისთვის ნაკრების წევრებს მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდათ. "ლეგა კალჩოს" არგუმენტი კი ისაა, რომ 2008 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია და იგივე ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, სერია A სადღაც მაისის შუა რიცხვებისთვის უნდა დასრულდეს, რათა "აძურას" ფინალური ეტაპისთვის მოსამზადებლად მეტი დრო ჰქონდეს. თუმცა "დონს" დღევანდელი კვერცხი ურჩევნია. ის ფიქრობს, რომ ვიდრე ნაკრებს ფინალური ეტაპის საგზური არ გაუნაღდებია, პრიორიტეტულია, რომ აქცენტი ჯერ მიმდინარე ბატალიებზე გაკეთდეს და ტურნირის დასკვნითი სტადიისთვის მერე იზრუნონ...

ერთი სიტყვით, "ლეგა კალჩომ" თავისი გაიტანა და ახლა გვიანია "თითზე კბენანი". ანუ, **2007 წლის 26 აგვისტო** - დღე, როცა სტარტს აიღებს იტალიის ჩემპიონატის ახალი მარათონი. განისაზღვრა თარიღები შუა კვირის ტურებისთვისაც: **26 სექტემბერი** (2007), **31 ოქტომბერი** (2007), **27 თებერვალი** (2008) და **19 მარტი** (2008).

დასვენების დღეები: **9 სექტემბერი** (2007, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები), **14 ოქტომბერი** (2007, საკვალიფიკაციო მატჩები), **18 ნოემბერი** (2007, საკვალიფიკაციო მატჩები), **30 დეკემბერი** (2007, ზამთრის პაუზა), **6 იანვარი** (2008, ზამთრის პაუზა). ჩემპიონატის ბოლო ტური **2008 წლის 18 მაისისთვისაა** დანიშნული. გადაწყდა ისიც, რომ "ინტერსა" და "რომას" შორის იტალიის სუპერთასის მატჩს **19 აგვისტოს** "სან სირო" უმასპინძლებს.

კვალიარელა უდინეზეში რჩება

ფაბიო კვალიარელამ იმედები გაუცრუა მრავალრიცხოვან მთხოვნელებს, განაცხადა რა, რომ მომდევნო სეზონს "უდინეზეში" გაატარებს. მისი გადაბირებისთვის ყველაზე მეტად "მანჩესტერ იუნაიტედი", "იუვენტუსი" და "რომა" იყვნენ მონადინებულნი. ამ დროს კი, "უდინეზემ" ის "სამპდორიისგან" 7.4 მილიონ გირვანქად გამოისყიდა. 23 წლის ფორვარდს სურვილი აქვს, მასში ჩადებული ინვესტიცია გაამართლოს. ესეც არ იყოს, კვალიარელა ფიქრობს, რომ სხვა კლუბში გადასვლა ადრეა, რადგან პროგრესი "უდინეზეშიც" შესაძლებელია.

პარმამ რეჟინალდო მოაგვარა

"პარმამ" ბრაზილიელი ფორვარდი **რეჟინალდო** იყიდა. "ენიო ტარდინის" მობინადრეებმა "ფიორენტინას" 3.2 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. რეჟინალდო 24 წლისაა. ფლორენციამდე ის "ტრევეზოში" თამაშობდა. "ფიორენტინაში" კი **ლუკა ტონისა** და **ადრიანო მუტუს** ჩრდილში იყო. ტონის წასვლის შემდეგ, ძირითადში ადგილს ახალგაზრდა **ჯანლუკა პაცინი** დაიკავებს და შესაბამისად, რეჟინალდოს კვლავ თადარიგში მოუწევდა ყურყუტი. ამიტომ, ფორვარდმა "პარმაში" თამაში არჩია. ამ უკანასკნელს ის "უდინეზეში" წასული **ზლატან მუსლიმოვიჩის** შემცვლელად სჭირდება.

ჩაშლილი ტრანსფერი

ინტერი და ტევესი: თამაში დასრულდა?

არგენტინელს ლივერპული და რეალი ჩაუსაფრდნენ

"ინტერსა" და **კარლოს ტევესს** შორის გაუგებრობა მოხდა. არგენტინელმა ფორვარდმა უარყო იტალიური მხარის მოთხოვნა, რომელიც მის სატრანსფერო "დედლაინს" ეხებოდა. მილანური კლუბი ფეხბურთელს მის წინადადებაზე დათანხმებას აჩქარებდა, რაც ამ უკანასკნელისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამჯერად, ტევესი "კოპა ამერიკაზე" თამაშობს. ძნელი სათქმელია, განახლდება თუ არა მოლაპარაკება ტურნირის დასრულების შემდეგ. ტევესის წარმომადგენელი და მისი სატრანსფერო პაკეტის მფლობელი, ირანელი ბიზნესმენი **კია ჯურაბჩიანი** მაინც იტოვებს იმედს, რომ **მასიმო მორატისთან** დიალოგს გააგრძელებს. საინტერესოა, რას ფიქრობს თავად მორატი. "ინტერის" ბოსმა კომენტარი გააკეთა **ერნან კრესპოს** სიტყვებზეც, იმასთან დაკავშირებით, თითქოს გუნდში ძალიან ბევრმა ფორვარდმა მოიყარა თავი.

"შემიძლია გითხრათ, რომ ტევესი აღარ ფიგურირებს "ინტერის" ობიექტივში. მით უმეტეს, დავიდ სუასო ვიყიდეთ. კრესპო? მისი სიტყვები არასწორად გაიგეს, თუმცა ზოგადად, მართალია, რომ "ინტერში" საკმაოდ ბევრი ფორვარდია. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ სატრანსფერო კამპანია არ დაგვისრულებია. კიევს რაც შეეხება, ჩვენ ის ნამდვილად გვაინტერესებს და ვეცდებით, ისეთი წინადადებით მივმართოთ, რაც ჩვენი სატრანსფერო პოლიტიკის ადეკვატური იქნება".

ამასობაში კომენტარი ჯურაბჩიანმაც გააკეთა: *"იტალიური კლუბის მხრიდან ეს მთლად კორექტული საქციელი არ არის. კარლოსი არ იყო მზად მათი მოთხოვნის შესასრულებლად. ის არ არის მიჩვეული მკაცრი მანერით საუბარს, ამასთან, მას ურჩევნია პრემიერლიგაში დარჩეს. თუმცა გეტყვით, რომ არ არის სწორი ინფორმაცია, თითქოს "ვესტ ჰემში" დარჩენის სანაცვლოდ ტევესს კვირაში 100 ათას გირვანქას შეპირდნენ. ისე, არა მგონია, რომ "ინტერთან" საუბარი ამით ამოვწურეთ".*

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ტევესის გზა, შეიძლება, "ლივერპულისკენ" მიდიოდეს. **რაფა ბენიტესს** ის დიდი ხანია მოსწონს. არ უნდა გამოვრიცხოთ "რეალიც", რომელიც ასევე ღიად აფიქსირებდა არგენტინელით დაინტერესებას.



კარლოს ტევესი

ინტერვიუ ტიერი ანრისთან

მეჩოქეებს უნდა ეშინოდეთ იმ გუნდის, რომლის ნაწილი ამიერიდან მეც ვარ

ფრანგი ვარსკვლავი საკუთარ თავს სულაც არ თვლის ისეთ პერსონად, რომ ოდესმე ვინმეს კერპად იქცეს...



ტიერი ანრის კამპ ნოუზე ზღაპრული დახვედრა მოუწყეს

ბარსელონის საკლუბო არხისათვის მიცემულ პირველ ექსკლუზიურ ინტერვიუში ფრანგმა ფორვარდმა აღფრთოვანებით ისაუბრა იმ უსაშველოდ თბილ დახვედრაზე, რომელიც "ბარსას" ფანებმა მოუწყვეს. ასევე კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რატომ გადაწყვიტა "არსენალის" დატოვება ლონდონში გატარებული რვა შთამბეჭდავი სეზონის შემდეგ და რატომ აირჩია "კამპ ნოუ"...

- პირველი შთაბეჭდილება "კამპ ნოუზე"...

- ვფიქრობ, ეს დღე სამუდამოდ დამახსომდება. რაღაც განსაკუთრებული იყო. ვიცოდი, რომ გულშემატკივრები იქნებოდნენ, მაგრამ ამდენს არ ველოდი. მცირედ უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. სწორად გამიგეთ, ეს მართლა დაუჯერებელი იყო. მივხვდი, თუ რამხელა კლუბში ამოვყავი თავი.

- ფეხბურთის გამო ოდესმე თუ გქონიათ ამხელა ემოციები?

- სიმართლე ვთქვა, არასოდეს. წინა კლუბებში ტიტულები მომიგია და გულშემატკივარს ოვაციებით დავუჯილდოებივარ, მაგრამ ეს ტაში მაშინ მთელ გუნდს ეკუთვნოდა. აქ კი ოვაციები მხოლოდ მე მიძღვნეს.

- ხომ გესმით, თქვენ გულშემატკივრების ახალი კერპი ხართ.

- მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ საკუთარი საქმე გავაკეთო - ვითამაშო ფეხბურთი. ჩემი საქმე ხან კარგად გამომდის, ხან ისე რა, თუმცა ესეც ფეხბურთის ნაწილია. პრეზენტაციისას შევიგრძენი ის, თუ რისი მოლოდინი აქვთ აქაურ ინჩასებს. მე სამუდამოდ მადლობელი ვიქნები მათი, ვინც ამ დღეს მოვიდა ჩემს გასამხნევებლად. მე აქ ტიტულებისთვის ჩამოვედი. ჰო, ერთიცაა, საკუთარ თავს არ ვთვლი ისეთ პერსონად, რომ ოდესმე ვინმეს კერპად ვიქცე.

- თქვენ თქვით, რომ "ბარსას" არჩევის საფუძველი მისი სათამაშო სტილი იყო. დიდი ხანია, გვქონამაგობთ?

- მას შემდეგ, რაც საკუთარი თავი მახსოვს. "ბარსა", ალბათ, იმ იშვიათ კლუბთაგანია, რომელსაც საკუთარი სტილისთვის არასოდეს უღალატია. ეს გუნდი ყოველთვის ლამაზად სათამაშოდ, შესატევად და გოლების გასატანად გამოდის... გულშემატკივარსაც ეს უყვარს. ამიტომაა "ბარსა" ცნობილი მთელ მსოფლიოში. გარედან ასე ჩანდა, ახლა კი აქ ვარ და ამას თავად გამოვცდი. "ბარსელონის" თამაში სასიამოვნო საყურებელი უნდა იყოს.

- ამ კლუბის ყველა დრიოს მოთამაშეთაგან ვის სცემთ ყველაზე დიდ პატივს?

- რა გითხრათ? ასეთები ძალიან ბევრი არიან - კრუიფი, მარადონა. როცა 14-15 წლის ვიყავი, აქ რომარიო და სტოიჩკოვი ბრნყინავდნენ. იმ გუნდს, რომელსაც სიყმაწვილეში გულშემატკივრობ, გულში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უკავია. თავის დროზე ძალიან მომწონდა რონალდო, ასევე ლუის ენრიკე, გუარდიოლა... ხომ ვამბობ, ძალიან ბევრია ასეთი.

- კლუბს შეტევაში უკვე ჰყავს ეტოო, რონალდინიო და მესი. მძიმე შრომა მოგიწევთ ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად.

- აქ გადმოსვლამდე კარგად ვიცოდი, რა მელოდა. ნორმალურია, როცა ასეთ დიდ კლუბს შეტევაში დიდი ფეხბურთელები ჰყავს. მინდორზე ვინ გამოვა, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. მთავარია, გუნდმა, როგორც ერთიანმა მექანიზმმა, ისე იმუშაოს და ასე ერთად ვიაროთ დასახული მიზნებისკენ. მთავარია გუნდური წარმატება, მერე ის, თუ ვინ ითამაშა ამ წარმატებაში მთავარი როლი. პირველ რიგში "ბარსელონამ" უნდა მოიგოს, იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება ძირითადში.

- ტურამმა განაცხადა, რომ ასეთი ძლიერი თავდამსხმელები მსოფლიოს არცერთ კლუბს არ ეყოლება. ეთანხმებით?

- რა თქმა უნდა. ისე, მთლად ლამაზი არაა, როცა ამას ვამბობ, მე ხომ საკუთარ თავსაც ვგულისხმობ. მთავარია, გუნდად შევდგეთ, ხოლო თამაშის უმაღლეს ხარისხს რომ აუცილებლად მივაღწევთ, წამითაც კი არ მეპარება ეჭვი. წინა ხაზში ვინც უნდა ითამაშოს, უნდა ახსოვდეს, რომ ნახევარდაცვას უნდა მიეხმაროს. წარმატების ფორმულა სწორედ ასეთია. ჩვენ საერთო გუნდური ტვირთი ერთად უნდა ვზიდოთ. წესით, მონინაალმდეგეებს ცოტა უნდა შეეშინდეთ კიდეც იმ ფეხბურთელებისა და, ზოგადად, იმ გუნდის, ვისი ნაწილიც ამიერიდან მეც ვარ.

- უკვე გაესაუბრებოდით ლილიან ტურამს. რა უთხარით?

- ბარსელონაში ჩამოსვლის მერე არ მისაუბრია. მას ცოტა ადრე ველაპარაკე. ისევე, როგორც ჯოვანი ვან ბროკჰორსტსა და რონალდინიოს. მათ ერთი და იგივე ფრაზა მითხრეს, თუ "ბარსელონაში" თამაშის შანსი გაქვს, ნუღარაფერზე ფიქრობო. როცა მეგობრები ამას გირჩევენ, საფიქრალი აღარაფერია.

- თქვენ განაცხადეთ, რომ ამ კლუბში სასწავლებლად ჩამოხვედით. რაღა უნდა ისწავლოს ტიერი ანრიმ?

- ის რაც ვთქვი, იმის მიმანიშნებელია, თუ რა მსიამოვნებს ყველაზე მეტად. ახლა აქ ვარ. შემიძლია, ვთქვა, რომ კლუბს ვიცნობ გარედან, შიგნიდან ის ჯერ კიდევ შესასწავლი მაქვს. მე ეს ყველაფერი უნდა ვისწავლო მათგან, ვინც აქ უკვე დიდი ხანია, თამაშობს, კაპიტან პუიოლისგან, ეტოოსგან, რონალდინიოსგან, ოლეგერისგან, ინიესტასა და ჩაბისგან. ისინი მასწავლიან, თუ როგორ მოვახერხო უმოკლეს დროში ადაპტაცია. კლუბის ვეტერანებს დიდი პატივს ვცემ. შემეძლება, მათ ნებისმიერ დროს მივმართო დახმარებისთვის.

- რა საფეხბურთო ასპექტებში შეგიძლიათ "ბარსელონის" გაძლიერება?

- ვფიქრობ, აქ ყველამ იცის, თუ რა შემიძლია და რა - არა. ამპარტავნობა იქნებოდა, ახლა იმაზე მელაპარაკა, თუ რისი მიცემა შემიძლია. ყველაზე მეტს, რასაც ამ კლუბს მივუძღვნი, საკუთარი თავი იქნება. ასი პროცენტით დავიხარჯები და, ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საჩუქარი იქნება ყველასთვის.

- თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ არსენ ვენგერი თქვენი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. რას იტყვით ფრანკ რიიკაარდზე?

- აბა, რა უნდა თქვას ადამიანმა რიიკაარდზე? ჩემპიონთა ლიგა და "ლა ლიგის" ორი საჩემპიონო ტიტული. ის დიდი მწვრთნელია. მან დაიმსახურა პატივისცემა საკუთარი პერსონისადმი. მოუთმენლად ველი მასთან მუშაობას. "ბარსელონაში" მისი მოსვლის შემდეგ ამ კლუბმა დიდი ევოლუციური ცვლილებები განიცადა.

- ფიქრობთ, რომ ახალ სიტუაციას მალე მოერგებით?

- ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ ესპანური და კატალონიური ენები ვისწავლო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობა მქონდეს ყველასთან და არამარტო გადახდელში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მე მსურს კატალონიური კულტურის, აქაური ხალხის, გარემოს გაცნობა, რაც შეიძლება უკეთ. უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ აქ ვარ, ამ გუნდის ნაწილი ვარ.

- ჩვეულებრივ, მინდორზე დიდ დიაპაზონს მოიცავთ. ხომ არ იცით, რა პოზიციას განდობთ მწვრთნელი?

- ვითამაშებ იქ, რომელ პოზიციასაც მწვრთნელი დამაყენებს. იმიტომ, რომ მან ყოველთვის ყველაზე უკეთ იცის, რა იქნება "ბარსელონისთვის" სასარგებლო. მე გუნდის წევრი ვარ და გუნდზე ვფიქრობ და არა იმაზე, თუ სად ვითამაშებ. მსოფლიოს ჩემპიონატზე, გერმანიაში, მწვრთნელმა მთხოვა, მეთამაშა შეტევის პირველ ხაზში, ჩემი შეხედულებისამებრ. მე არ მიყვარს ასეთი სიტუაციაში თამაში, მაგრამ მწვრთნელის შეგონება გავითვალისწინე, იმიტომ, რომ გუნდისთვის ასე უმჯობესი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში დარწმუნებული ვიყო, რომ გუნდისთვის მაქსიმალური სარგებელი მომაქვს.

გოტფრიდ ლენცი

ბაიერნი. მზადება დაიწყო

კლოზემ მიუნხენში პირველად ივარჯიშა

ვიზიტი ჰონკონგში. ტონი, რიბერი და ზე რობერტო ბავარიაში რამდენიმე დღეში ჩავლენ...

განახლებული და ვარსკვლავებით დახუნძლული "ბაიერნი" გუშინ პირველად შეიკრიბა. მიუნხენური გიგანტი ჰონკონგში მიემგზავრება, რათა ბრაზილიურ "სანტოსთან" ამხანაგური მატჩი გამართოს. ეს თამაში ბავარიელთა ბიუჯეტს რამდენიმე მილიონ ევრის შემატებს. გუშინდელ ვარჯიშზე საყოველთაო ყურადღება **მიროსლავ კლოზესკენ** იყო მიპყრობილი. მან პირველად მოიზომა "ბაიერნის" თეთრ-წითელი მაისურა და **ოტმარ ჰიტცფელდსა** და სხვა ახალნვეულებთან ერთად უამრავი ფოტო გადაიღო. შეგახსენებთ, 29 წლის თავდამსხმელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრემენის "ვერდერმა" კი მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო მიიღო. კლოზე მხოლოდ მცირე ნაწილია იმ გრანდიოზული ცვლილებებისა, რომელიც მიუნხენში ბოლო ერთი თვის განმავლობაში მოხდა. კლუბმა შემადგენლობით გასაძლიერებლად აქამდე არნახული თანხა, 69 მილიონი ევრო გაიღო. კლოზეს გარდა, ფრანგი და იტალიელი ვარსკვლავები, **ფრანკ რიბერი** და **ლუკა ტონიც** შეიძინეს. ისინი გუშინდელ პრეზენტაციას არ დასწრებიან. ლეგიონერები "ბაიერნს" რამდენიმე დღეში შეუერთდებიან. რამდენიმე დღეში მიუნხენში დაბრუნდება **ზე რობერტოც**. შეგახსენებთ, ბავარიელებმა გასული სეზონი მეოთხე ადგილზე დასრულეს და ბოლო 11 წელიწადში პირველად ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ. გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰაინესმა** თქვა: *"ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ ორივე სასურველი თავდამსხმელი შევიძინეთ (კლოზე და ტონი)."* ჟურნალისტებს მიროც სიამოვნებით გაესაუბრა: *"ბაიერნს დიდი იმედებს ვუკავშირებ. შევეცდები, არაერთერთი ტიტული მოვიპოვო. თუ ყველა ჯანმრთელად იქნება, არა მგონია, ბევრი ისეთი კლუბი მოიძებნოს, რომელიც ჩვენს შეჩერებას მოახერხებს."*

მიუნხენელთა შემადგენლობაში კიდევ ერთი ახალი სახეა არგენტინელი ნახევარმცველი **ხოსე ერნესტო სოსა**. მან, კლოზემ და **ჰამით ალფინთოფმა** დანარჩენ გუნდთან ერთად ივარჯიშეს, მაგრამ არ უვარჯიშია სხვა ორ ახალნვეულს, **იან შლაუდრაფსა** და **მარსელ იანსენს**. ავადმყოფობისა და ტრავმის გამო ისინი მხოლოდ სამახსოვრო ფოტოებით დაკმაყოფილდნენ. ჟურნალისტთა კითხვებს ხალისიანად უპასუხა ოტმარ ჰიტცფელდმაც: *"ბაიერნში" საუცხოო ინდივიდუალისტებმა მოიყარეს თავი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საუკეთესო ფეხბურთს ვითამაშებთ. გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება."*

ბაიერნის ახალნვეულები: შლაუდრაფი, ალთინთოფი, კლოზე, იანსენი და სოსა

სკალონი ლაციოში ითამაშებს

არგენტინელმა მცველმა **ლიონელ სკალონიმ** "პიაცა დელა ლიბერტასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ "ლაციოში" გადადის. 29 წლის მოთამაშეს "რასინგთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და იტალიის დედაქალაქს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურებს. მან კარიერა არგენტინულ "ნიუელს ოლდ ბოიზში" დაიწყო, შემდეგ იყო "ესტუდიანტესი", რასაც ევროპა და ჯერ "დეპორტივო", მერე "ვესტ ჰემი" (2005/06 წლების სეზონის მეორე ნახევარი) და ბოლოს კი "რასინგი" მოჰყვა. ამ ზაფხულიდან ის "ლაციოში" ახალ, იტალიურ თავგადასავალს იწყებს: *"რომაულ კლუბთან შეთანხმებას უკვე მივაღწიე. ჩემთვის ეს უდიდესი შანსია. მოუთმენლად ველი ჩემპიონთა ლიგის დაწყებას. მითხრეს, რომ "ლაციო" მარჯვენა მცველს ეძებდა და აი, მეც აქ ვარ. რომში 9 ივლისს ვიქნები".* მოკლედ, სკალონის სახით **დელიო როსიმ** "მილანში" ამ ზამთარს გადასული **მასიმო ოდოს** შემცვლელი იპოვნა.

ბექჰემის პრეზენტაცია 13 ივლისს

"ლოს ანჯელეს გალაქსი" **დევიდ ბექჰემის** პრეზენტაციას 13 ივლისისათვის გეგმავს. იმასაც ამბობენ, რომ ის პირველ ამერიკულ მატჩს "ჩელსის" წინააღმდეგ გამართავს. "არისტოკრატებს" ამერიკაში ტურნეს მოწყობა აქვთ გამიზნული და "გალაქსისთან" თამაშიც ამ ტურნეს ნაწილია. ბექჰს, რომელმაც ორიოდ კვირის წინათ ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვა, ლოს ანჯელესში აუტსაიდერის როლში მოუწევს ყოფნა. მისი მომავალი გუნდი სუსტად ასპარეზობს და ექვსგუნდა დასავლეთის კონფერენციაში ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს. დევიდი მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებს თავს, რომ ჰოკეისა და კალათბურთის ეროვნული ლიგების დარად, გავარდნის წესი არც MLS-ში მოქმედებს. მაქსიმუმი, რაც კლუბს შეიძლება შეემთხვეს, ფლეი ოფის მიღმა დარჩენაა. თუ "გალაქსი" კონფერენციაში ჩარჩება, ბექჰემის პირველი ამერიკული სეზონი სენსაციურად ხანმოკლე აღმოჩნდება.

ნიუკასლი ფორვარდების გარეშე?

"ნიუკასლის" თავკაც **სემ ელერდაისს** თავდამსხმელების გარეშე დარჩენა ემუქრება. **ობა მარტინესსა** და **მაიკლ ოუენს** ინგლისური გრანდები ეპატიჟებიან. გუშინელ ნომერში გაუწყეთ, რომ ნიგერიელი თავდამსხმელით "არსენალი" დაინტერესდა. "მეთოფეებს" მარტინსი **ტიერი ანრის** შემცვლელად ესახებათ და 13 მილიონი გირვანქა გაამზადეს. "სანში" კი ვკითხულობთ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" საბოლოოდ გადაწყვიტა ოუენის ხელში ჩაგდება. ამიტომ ჯორდებს, **ალან სმიტსა** და 4 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. ელერდაისმა მიმომხილველებს ასეთი კომენტარი მისცა: *"ობას გარშემო შექმნილი ვითარება ყველასათვის ცნობილია. თუ დაინტერესებული კლუბი კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას გადაიხდის, ველარაფერს შევცვლით. ძალიან მინდა, მომავალი სეზონი მასა და ოუენთან ერთად დავგეგმო, მაგრამ აგვისტოს ტრანსფერებისას ადვილი შესაძლებელია, ორივესთან გამოთხოვება მოგვიხდეს. თუ ასე მოხდება, "ნიუკასლს" აუნაზღაურებელი დანაკლისი მიადგება."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზდა მწვრთნელი

ლეგენდა პროვინციაში

ანდი მიოლერი სამწვრთნელო კარიერას ობერლიგიდან იწყებს

ანდი მიოლერი

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ნაკრებიდან, ფეხბურთელთა 70 პროცენტზე მეტი მწვრთნელი გახდა. ფრანც ბეკენბაუერი, იმდროინდელი ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი, კაცი, რომელმაც გერმანიას უკანასკნელად მოაგებინა მუნდიალი, ამბობს, ის ბიჭები ფეხბურთს არა მარტო თამაშობდნენ, არამედ ფეხბურთით ცხოვრობდნენ, ფეხბურთით აზროვნებდნენ და შესაბამისად, არც მიკვირს, უმრავლესობამ მწვრთნელობას რომ მიჰყო ხელიო. ორშაბათიდან ამ გზას იმ თაობის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი და საერთოდ, 90-იანი წლების გერმანული ფეხურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ანდრეას მიოლერიც დაადგა.

სხვებისგან განსხვავებით, **ანდი მიოლერი** სამწვრთნელო კარიერას ძალიან ქვემოდან, ფაქტობრივად, ფსკერიდან იწყებს. მისი პირველი გაჩერება ესსენის პროვინციული ქალაქი აშაფენბურგია, გუნდი - აშაფენბურგის "ვიქტორია". ეს ქვემოფრანკული ქალაქი გახლავთ, თუმცა გეოგრაფიულად ესსენს ეკუთვნის. მიოლერი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 85 მატჩი აქვს ჩატარებული, ახალ პოსტზე პირველად ორშაბათს წარსდგა და პირველი ვარჯიშიც ჩაატარა, მოგვიანებით კი, მოედანზევე გამართულ სახელდახელო პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: *"აშაფენბურგი" დამწყები მწვრთნელისთვის იდეალური გუნდია. ეს ჩემი შანსია, შანსი იმისა, რომ დიდი სამწვრთნელო კარიერა მოვიწყო. მჯერა, რომ "ვიქტორია" საუკეთესო ტრამპლინი იქნება."*

არადა, მიოლერს გაცილებით უკეთესი გუნდები ეპატიჟებოდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მისი გადაბირების მსურველთა რიგებში პირველი ბუნდესლიგის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ აი, მეორე ბუნდესლიგიდან და რეგიონალლიგიდან კი, წინადადებები ოხრად ჰქონდა. მაგრამ ანდიმ ყველასა და ყველაფერს "აშაფენბურგი" არჩია, ესსენის ობერლიგის მოკრძალებული გუნდი, რომელსაც სერიოზული ამბიციები არ გააჩნია. თუმცა მიოლერის მოსვლის შემდეგ, ამ გუნდის ბოსებსაც გაუჩნდათ მადა და ფაქტია, რომ მომდევნო სეზონში "ვიქტორიის" მიზანი ერთი საფეხურით ამაღლება იქნება. ყოველ შემთხვევაში, ანდი ფიქრობს, რომ ეს რეალურია.

აშაფენბურგში მუშაობა ანდიმ იანვარში დაიწყო, ოღონდ თავიდან მენეჯმენტში დაკავდა, რადგან პირველ რიგში, სწორედ ამ მხრივ სჭირდებოდა გუნდს, რომელსაც საპრესკონფერენციო დარბაზიც კი არ აქვს ნორმალური. იანვრიდან მიოლერმა სპონსორების მოძიებაზე დაიწყო მუშაობა და არაერთი სერიოზული დამფინანსებელი გამონახა. როგორც გუნდის ბოსები ამბობენ, ამ შემთხვევაში მისმა სახელმა უმთავრესი როლი ითამაშა - როცა რომელიმე კომპანიასთან მოსალაპარაკებლად ანდრეას მიოლერი მიდის, ცხადია, რომ საკითხი 90 პროცენტით დადებითად გადაწყდებაო. ახლა კი, როცა საძირკველი ჩაყრილია და ფინანსებიც არის, მიოლერი "ვიქტორიას" უკვე მწვრთნელის რანგში სჭირდება და სხვათა შორის, არც ამ რანგში იქნება მისი საფეხურთო წარსული უმნიშვნელო და სულერთი - ანდიმ დორტმუნდის "ბორუსიის", "შალკესა" და "აინტრახტის" რიგებში, ბუნდესლიგის ეგიდით 429 მატჩი ჩაატარა და 110 გოლის გატანა შეძლო. აქტიურ სპორტულ კარიერაში აბსოლუტურად ყველა შესაძლო ტიტული მოგებული აქვს - იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1990), ევროპის ჩემპიონი (1996), "ბორუსიასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის (1997) და საკონტინტთაშორისო თასის (1997) გამარჯვებული, "იუვენტუსის" რიგებში უეფას თასიც მოიგო, არის გერმანიის ჩემპიონი და გერმანიის თასის სამგზის გამარჯვებული.

რაც შეეხება ანდის ახალ გუნდს, - "ვიქტორია" გასულ სეზონში მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა რეგონალლიგაში გადასვლა ვერ მოახერხა, რადგან ერთი საფეხურით ამაღლება მხოლოდ პირველადგილოსანს შეეძლო. ამ გუნდს საუკეთესო პერიოდი 80-იანი წლების ბოლოს ედგა, როცა აშაფენბურგელებმა სამი წელიწადი მეორე ბუნდესლიგაში გაატარეს, ხოლო 1987/88 წლების სეზონში კი, გერმანიის თასის მეოთხედფინალამდე მიაღწიეს. მერე კი დაღმასვლა დაეწყოთ და მე-5 ლიგამდეც კი დაქვეითდნენ.

დღეისთვის ანდის ხელში ახალგაზრდა კონტინგენტია, რომელსაც მიოლერი აუცილებლად შემტევ ფეხბურთს ათამაშებს. თვითონ ანდიც ყოველთვის შემტევი ფეხბურთის მომხრე გახლდათ. როგორც იცით, სწორედ მასზე ამბობდნენ, ყველაზე არატიპური გერმანელი მოთამაშეაო. ასეც იყო: მიოლერის თამაშის სტილი ყველაზე მეტად ფლეიმეიქერის იტალიურ ან არგენტინულ სტილს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე გერმანულს. *"მთავარია, რომ ფეხბურთელებს ერთმანეთთან იდეალური ურთიერთობა ჰქონდეთ, მეგობრული. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია ფეარ პლეის პრინციპების დაცვაც - როგორც მეტოქე გუნდის მოთამაშეებთან, ასევე მსაჯებთანაც. ვერ ვიტან, როცა ფეხბურთელი ილანძღება, მსაჯის გადაწყვეტილებას აროტესტებს ან მეტოქეს უაზროდ, მხოლოდ იმის გამო ეუხეშება, რომ მოატყუეს და ბავშვივით გააბითურეს. როცა მეტოქე შენზე ძლიერია და ისეთ ფინტს გაგიკეთებს, რომ შეგარცხვენს, თავი უნდა დახარო და აღიარო, რომ ის შენზე კარგად თამაშობს. ჟურიანი მოთამაშეების სასტიკი ფოლები საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი და ყველაფერს ვიღონებ, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ასეთი რამ არ გააკეთონ,"* - ასეთია ანდის საფეხბურთო ფილოსოფია. როგორი ფეხბურთელიც იყო, მწვრთნელიც ისეთი იქნება - მშვიდი, განონასწორებული, რეალისტი და ამავე დროს, რომანტიკოსი.

მიოლერს ისეთ დიდ მწვრთნელებთან უმუშავია, როგორიც **ოტმარ ჰიტცფელდი, ჰუუბ სტევენსი** ან **ნევიო სკალა** არიან. როგორც თვითონვე ამბობს, თითოეული მათგანისგან ბევრი რამ ისწავლა და აითვისა. *"მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანს მივბაძავ. არა! მე საკუთარი სტილი მექნება, ჩემი ხელწერა,* - აცხადებს ანდი და იქვე ამატებს, - *აშკარაა, რომ ფეხბურთელები დიდ პატივს მცემენ, რაც ძალიან მახარებს. მოთამაშეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩემთან დაკავშირება. გული კარგს მიგრძნობს, რადგან გუნდში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელია."*

მაშ ასე, გენიალური ფეხბურთელი ანდრეას მიოლერი 39 წლის ასაკში მწვრთნელობას იწყებს. ვნახოთ, გახდება თუ არა ანდი ისეთივე წარმატებული მწვრთნელი, როგორი ფეხბურთელიც იყო. ფაქტი ის გახლავთ, რომ ისეთმა ცნობილმა სპეციალისტებმაც, როგორებიც **რუდი ბომერი** და **ვერნერ ლორანტი** არიან, სამწვრთნელო კარიერა ასევე აშაფენბურგის "ვიქტორიაში" დაიწყეს. აქვე გეტყვით, რომ 7 ივლისს მიოლერის სამწყსო "შალკესთან" ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

გოტფრიდ ლენცი

ტრანსფერი

ტოტენჰემმა რეკორდი დაამხო

მამლებმა ჩარლტონელ თავდამსხმელში ანრიზე ორჯერ ძვირი გადაიხადეს

"ტოტენჰემმა" საკუთარი სატრანსფერო რეკორდი დაამხო. მან "ჩარლტონის" 23 წლის თავდამსხმელი **დარენ ბენტი** შეიძინა. ინგლისის ნაკრების ახალბედა ფორვარდი 33 მილიონი დოლარი დაჯდა. ეს თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე თანხა, რომელიც "ბარსელონამ" ტიერი ანრის სანაცვლოდ გადაიხადა. "ფიორენტინიდან" "ბაიერნში" გადასულ **ლუკა ტონიზე** აღარაფერს ვამბობთ. ის მიუნხენელებს სულ რაღაც 11 მილიონი დაუჯდათ. "სანის" ცნობით, ბენტმა "მამლებთან" ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქამდე "ტოტენჰემის" უძვირფასეს ფეხბურთელად უკრაინელი **სერგეი რებროვი** ითვლებოდა. 2000 წელს კიევის "დინამოს" მის სანაცვლოდ 22 მილიონი დოლარი გადაუხადეს, თუმცა იმ ტრანსფერმა არ გაამართლა: რებროვმა "უაით ჰართ ლეინზე" სამი სეზონი გაატარა, 59 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი შეაგდო. 2003-04 წლები კი იჯარით "ფენერბაჰჩეში" იყო მივლენილი.

დავუბრუნდეთ ბენტს. მან გასულ სეზონში 15 გოლი გაიტანა, მაგრამ "ჩარლტონი" გავარდნისაგან ვერ იხსნა. დარენს "ვესტ ჰემიც" ეპატიჟებოდა. უფრო მეტიც, "ჩაქუჩები" 1 მილიონით მეტს იხდიდნენ და გარიგებაც თითქმის გაჩარხული იყო, მაგრამ "ტოტენჰემის" გამოჩენამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. "ვესტ ჰემის" დამრიგებელი ჩარლტონელთა ყოფილი ბოსი **ალან კერბიშლი** გახლავთ. ორი წლის წინ ბენტი "იფსვიჩიდან" სწორედ მან, 5 მილიონ დოლარად შეიძინა. ასე რომ თავად შეგიძლიათ, განსაჯოთ, როგორი წარმატებული საინვესტიციო პროექტი აღმოჩნდა ამ ფეხბურთელის ტრანსფერი. ამ გარიგების შემდეგ "ტოტენჰემს" პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ეყოლება. ბენტის გარეშეც მამლების ფორვარდებმა სეზონი 60 გოლით დაასრულეს. **დიმიტარ ბერბატოვისა** და **რობი კინის** გარდა, ინტენსიურად გაჰქონდა სათადარიგო თავდამსხმელ ჯერმეინ დეფოს, რომელმაც საბოლოოდ, შეცვლაზე მოთამაშე ფეხბურთელისათვის საარაკო შედეგით, 18 გოლით დაასრულა სეზონი. ბენტის შეძენა იმის მაუწყებელია, რომ მიდოს ჩამოდნების ჩალაგება მოუწევს. დეფოს საპირველგუნდო შანსები კი შარშანდელზე მეტად გაუარესდა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ტორესი ლივერპულში, 27 მილიონად

ატლეტიკო თანახმაა, ლუის გარსია მადრიდს მიაშურებსო...

ფერნანდო ტორესი "ლივერპულს" უახლოვდება. ტრანსფერი, შეიძლება, მომდევნო კვირის დასაწყისში შედგეს. "სანი" იუწყება, რომ ფასი შეთანხმებულია. გარიგების შემთხვევაში, მადრიდული კლუბი 27 მილიონ გირვანქას მიიღებს. "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ბრძოლა წაგო. ესპანელებს ფორვარდის შენარჩუნება სურდათ, მაგრამ ინგლისელებმა მისი კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა შესთავაზეს. ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიშლება, თუ ფეხბურთელი "ვისენტე კალდერონზე" დარჩენას გადაწყვეტს. "ატლეტიკოს" ინჩასები ამბოხებას ამზადებენ. ისინი დირექტორებს ანგარიშსორებით ემუქრებიან, თუ მათი საყვარელი მოთამაშე მადრიდს დატოვებს. გუშინ ინფორმაცია მოსალოდნელი გარიგების თაობაზე ესპანურმა ტელევიზიამაც დაადასტურა. მანვე გაგვიმხილა, რომ ორ კლუბს შორის კიდევ ერთი შეთანხმება მზადდება. ესპანელები ნახევარმცველ **ლუის გარსიას** ეპატიჟებიან. ამ უკანასკნელს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. მძიმე ტრავმის გამო გარსია ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება. მისი ფასი უცნობია. "ლივერპულმა" "ატლეტიკოს" შესთავაზა, გარსიას საკითხზე საგანგებოდ მოლაპარაკებები გამართონ და ის ტორესის ტრანსფერში არ აურიონ.

ფერნანდო ტორესი



ბერნდ შუსტერი

რეალი

შუსტერს გზა ხსნილი აქვს

ემერსონი მიდის, მადრიდში სავიოლასა და ტოლდოს ელოდებიანო...

"ხეტაფეს" პრეზიდენტმა **ანხელ ტორესმა ბერნდ შუსტერს** მწვანე შუქი აუნთო. როგორც იცით, გერმანელ სპეციალისტს "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობს. აქამდე საქმე მკვდარი წერტილიდან იმიტომ არ იძვროდა, რომ სენიორ ტორესს შუსტერის გაშვებაზე ერთი სიტყვის გაგონებაც არ სურდა... მაგრამ, ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: *"გუშინ შუსტერთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. მან დამარწმუნა, რომ სამეფო კლუბში მუშაობას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. არ დავმალავ, რომ "ხეტაფეს" სენიორ ბერნდი ძალიან სჭირდება, მაგრამ რადგან თავად წასვლას ამჯობინებს, ისღა დამრჩენია, ხელი აღარ შევუშალო. მოკლედ, შეუძლია, დაგვემშვიდობოს და მუშაობა "რეალში" გააგრძელოს."*

ახლა ინიციატივა **პრედრაგ მიატოვიჩმა** უნდა აიღოს ხელში. სამეფო კლუბის გენერალურ დირექტორთან შეხვედრა ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს, თუმცა ჩვენმა კოლეგებმა ესპანურ გრანდთან დაახლოებული პირების წყალობით დაადგინეს, რომ შუსტერს თანამდებობაზე მომავალ კვირაში დანიშნავენ.

ამასობაში, პრესაში იმაზეც ითქვა, რომ დედაქალაქელები **ემერსონს** გუნდიდან გასაშვებად ამზადებენ. ცნობილია, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი **ფაბიო კაპელოს** ფავორიტი გახლდათ. იტალიელის წასვლის შემდეგ სამხრეთამერიკელსაც წყალი შეუდგა. ემერესონს იტალიური კლუბები იწვევენ. ამასობაში, იტალიურ პრესაში დაიწერა, რომ "რეალი" უახლოეს დღეებში **ხავიერ სავიოლასა** და **ფრანჩესკო ტოლდოს** ტრანსფერებს გაჩარხავს. თავად მადრიდული გიგანტის მესვეურები აღნიშნული ინფორმაციის სისწორეს არ ადასტურებენ.

მენიუმ ანდერსონი დაიმტკიცა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ახალბედა ნახევარმცველმა **ანდერსონმა** ბრიტანეთის სამუშაო ვიზა მიიღო. გუშინ 19 წლის ბრაზილიელი "ემმაკების" სრულუფლებიანი წევრი გახდა. იმის გამო, რომ ამ ბიჭს ნაკრებში საკმარისი რაოდენობის თამაშები არ ჩაუტარებია, შიშობდნენ, რომ "მენიუს" მისი იჯარით გაშვება მოუწევდა. ბრიტანეთის შრომის სამინისტრომ მანჩესტერელთა პირველი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მაგრამ შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. აპელაციამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. საზაფხულო არდადეგების დასრულებისთანავე, ანდერსონი "იუნაიტედს" მიაშურებს.

იუვენტუსი შტუტგარტის წინააღმდეგ

"შტუტგარტმა" "იუვენტუსს", შეიძლება, ფიფაში უჩივლოს. მიზეზი ისაა, რომ ტურინელებმა გერმანიის ჩემპიონებთან შეუთანხმებლად, **მარიო გომესსა** და **ფერნანდო მეირასთან** საქმის დაჭერა სცადეს. გომესი შტუტგარტელთა საუკეთესო ბომბარდირია. მეირა გუნდის კაპიტანი და ლიდერია. შტუტგარტის გენერალურმა მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა "ქალბატონის" საქციელს ყოვლად მიუღებელი უწოდა: " კლუბს უკლებლივ ყველა ფეხბურთელთან კონტრაქტი აკავშირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარი დახურულია. გუნდი არ გაყიდის არცერთ ფეხბურთელს, რომელიც გვჭირდება." "იუვენტუსმა" გომესსა და მეირასთან კონტაქტი კატეგორიულად უარყო: *"ამ საკითხზე ინფორმაცია არ გვაქვს. ჩვენთან შტუტგარტელ ფეხბურთელებზე არავინ საუბრობს. ვერაფერს მოგახსენებთ."*

ესტონეთი მწვრთნელს ეძებს

ესტონეთის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. ფეხბურთის ფედერაციამ ნაადრევად გაუწყვიტა კონტრაქტი ჰოლანდიელ სპეციალისტ **იელე გუსს**. თავდაპირველად ის სამწვრთნელო სკოლის ტექნიკური დირექტორი იყო და საგანმანათლებლო კურსების ორიგინალური სისტემაც კი შეიმუშავა. გუსის სისტემამ უეფასაგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. 2007 წლის ბოლომდე ის ნაკრების კონსულტანტად იმუშავებს. გუშინ ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციამ იელე გუსს ღირსების მედალი გადასცა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

ჰაღათბურთი

იუბილე. 1962 წელი. ჩემპიონთა თასი

45 წუთივით გალეული 45 წელი

ცსკა რომ გამოთიშეთ, რეალს ვინღა მოუგებსო?!

ჩემპიონები 45 წლის წინ, ჟენევაში და დღეს

ნუგზარ სუარიძის ფოტოები



ზუსტად 45 წლის წინათ, ქართულ სპორტში დღემდე განუმეორებელი მოვლენა მოხდა: თბილისის "დინამომ" ჩემპიონთა თასი მოიპოვა. მაშინდელი ტრიუმფატორის, ლევან მოსეშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, 1962 წელს თასის აღება იგივეა, რაც ამჟამად ევროლიგის მოგება. ეს ევროპაში საუკეთესოობას ნიშნავს...

ამ მოვლენის აღსანიშნავად გუშინ, კაფე "მსოფლიო სპორტში" ვეტერანი კალათბურთელები შეიკრიბნენ და სასიამოვნო სიურპრიზიც იხილეს... ვიდრე სიუპრიზზე გეტყოდეთ, ჩემს ამბავს მოგახსენებთ: ბოლო წლების განმავლობაში 1962 წლის ჩემპიონთა თასის გახსენებასთან ერთად, ინტერნეტში ფინალური მატჩის ფოტოებსა და თუნდაც მცირე ინფორმაციას ვეძებ, მაგრამ ამაოდ. როგორც აღმოჩნდა, ინტერნეტში კი არა, მსგავსი ინფორმაციის მოპოვება, თვით ესპანეთის სახელმწიფო არქივშიც რთულია. მწერალი **დავით ტურაშვილი** ესპანეთში დიდხანს ეძებდა 1962 წლის "რეალი"-"დინამოს" მატჩის ფოტოებს და, ბოლოსდაბოლოს, სახელმწიფო არქივში ნაანყდა. თურმე, მადრიდში ფინალნაგებულ რეალელთა თანმხლებ ფოტოგრაფს მაშინდელი მმართველის, დიქტატორ ფრანკოს დავალებით, ფირები გაუმჟღავნებლადვე ჩამოართვეს. ამ ფირებზე აღბეჭდილმა ფოტოებმა კი პირველად 45 წლის შემდეგ, საქართველოში იხილა დღის სინათლე. ამ სიურპრიზმა გუშინ ჩემპიონთა თასის მფლობელები მეტად გაახარა. სურათზე ფარდის ახდის საპატიო მისია "დინამოს" კაპიტან **გურამ მინაშვილს** ერგო. მისმა მეგობარმა **ლევან ინწკირველმა** ფინალისწინა ამბები გაიხსენა:

"მადრიდის "რეალთან" მატჩამდე მოსკოვის ცსკა-ს დავუპირისპირდით. ნახევარფინალი ფინალის დარი გამოდგა, არმიელებთან დიდი ბრძოლა გვქონდა. მოგვიხდა როგორც კალათბურთელების, ასევე მსაჯებისა და ფედერაციის ბარიერის გადალახვა. უნდა გენახათ, ორი წაგების შემდეგ რა დღეში იყვნენ საბჭოთა კალათბურთის მმართველები - ცსკა რომ გამოთიშეთ, "რეალს" ვინღა მოუგებსო?! მაგრამ ჩვენ სხვა აზრზე ვიყავით. მანამდე, ჩემპიონთა თასის ფინალი გვქონდა წაგებული და ვხვდებოდით, რომ იმ დროისთვის თასის მოგებისთვის ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავით, ფიზიკურადაც და საამისოდ საკმარისი გამოცდილებაც გვქონდა".

ფინალისწინა ამბები **ლევან მოსეშვილმა** გაიხსენა:

"ჟენევაში, მატჩის დღეს, დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ახლაც ნათლად მახსოვს კაპიტნის, გურამ მინაშვილის შუბლი, რომელზეც ნერვიულობისგან ძარღვი ჰქონდა დაბერილი. ემოციები ყველას მოზღვავებული გვქონდა და წინასწარ ვგრძნობდით, რომ მეტოქე ჩვენს მონდომებას ვერაფერს დააკლებდა. ასეც მოხდა: ესპანელთა ამერიკელმა ლეგიონერმა ჰაიტაუერმა ბევრი იტრიალა, 32 ქულა მოაგროვა, მაგრამ მოედნიდან ნაადრევად გავიდა - პეტროვთან ორთაბრძოლისას მეხუთე შენიშვნა მიიღო. მის გარეშე დარჩენილმა ესპანელებმა კი ვერაფერი გააწყვეს... მატჩის შემდეგ ჩვენი სიხარული გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრამ გააორკეცა. მას შემდეგ განვლილი 45 წელიწადი საყვარელი 45-წუთიანი გაკვეთილივით მიილია. ჩვენს ახალ თაობას ვუსურვებ, იგივე უახლოეს მომავალში გაემეორებინოთ".

მსაჯობა ობიექტური არც შვეიცარიაში ყოფილა. ამას **ამირან სხიერელი** იხსენებს:

"ერთ-ერთი არბიტრი უნგრელი იყო. იგი ისე მოქმედებდა, ესპანელი გეგონებოდათ - მხოლოდ "რეალის" სასარგებლოდ სტვენდა. კიდევ კარგი, მეორე მსაჯი შვეიცარიელი გახლდათ და ობიექტურად მოქმედებდა, ის რომ არა... 1965 წელს სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ამერიკაში ვიყავი და ჩვენი ნაცნობი უნგრელი მსაჯი გამოგვემცნაურა - ვერ მცნობთო? როცა უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე, მითხრა - ის ვარ, ფინალი რომ გიმსაჯეთო. იმ მომენტში მსაჯის (გვარად კაშაი) ცემა მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე..."

ფინალისშემდგომ ამბებზე დეტალურად **გურამ მინაშვილი** საუბრობს: *"თბილისის აეროპორტიდან პირდაპირ ცეკა-ს პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის კაბინეტში წაგვიყვანეს, რომელმაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს ჰკითხა - ეს ბიჭები ხომ უნდა დავასაჩუქროთო?! შეთანხმდნენ, რომ თითოეულისთვის 15 ათასი მანეთი გადმოეცათ (ორიენტაციისთვის გეტყვით, რომ იმ დროს "პობედა" 40 ათასი მანეთი ღირდა, ჩემი ხელფასი კი 1800 მანეთი იყო). დაპირების შემდეგ 3 თვე გავიდა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძემ გვითხრა, 15-ს ვერა, მაგრამ 10 ათას მანეთს მოგცემთო. ორი თვის მერე გავიგეთ, რომ დაპირებული თანხა 5 ათასამდე შეგვიმცირეს... ბედად, იმ დროს "დინამოს" ფეხბურთელების ათმატჩიანი წარმატებული სერია დაემთხვა და ჩვენი 5 ათასიდან 1 500 მანეთი მათ მისცეს, კალათბურთელებს კი 3500 გვარგუნეს. გამოვიდა, რომ ჩემი ორი თვის ჯამაგირის ოდენადაც არ ღირდა ჩემპიონთა თასის მოგება".*

ჩემპიონთა თასი 1961/62

ფინალისტთა ყველა მატჩი

საკვალიფიკაციო ეტაპი	
კასაბლანკა (მაროკო)-რეალი (ესპანეთი)	46:84, 38:82
1/8 ფინალი	
სტიაუა (რუმინეთი)-დინამო	76:77, 77:82
ვარეზე (იტალია)-რეალი	82:80, 62:83
1/4 ფინალი	
დარუშაფაკა (თურქეთი)-დინამო	67:80, 49:84
ლეგია (პოლონეთი)-რეალი	73:62, 71:100
1/2 ფინალი	
ცსკა (რუსეთი)-დინამო	71:75, 66:77
ოლიმპია (სლოვენია)-რეალი	105:91, 53:69
ფინალი, ჟენევა	
დინამო-რეალი 90:83	

თბილისის დინამო: გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი, ილარიონ ხაზარაძე, ამირან სხიერელი, ალექსანდრე კილაძე, ანზორ ლეჟავა, რევაზ გოგელია, ალექსანდრე პეტროვი. **მწვრთნელი:** ოთარ ქორქია.

ილარიონ ხაზარაძე და ლევან მოსეშვილი თბილისის აეროპორტში

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟალათბურთი

რევაზ დიდია (ბურთით)

20-წლამდელთა ნაკრების კალათბურთელთაგან უმეტესობა პირველად გადის საერთაშორისო ასპარეზზე. თუმცა ერთ-ორ მოთამაშეს, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გამოცდილება საკმარისად აქვს. ასეთთა შორისაა რეზო დიდია, რომელიც უკრაინაში გამგზავრების წინ გუნდის კაპიტნად აირჩიეს. 2002 წელს ის კადეტთა ნაკრების ღირსებას იცავდა, 2004 წელს, ერთი წლით უფროსებთან ერთად, სარაგოსაში ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, ხოლო შარშან ვიქტორ სანიკიძესა და გიორგი ცინცაძეს 20-წლამდელთა ნაკრების B-დან A ლიგაში გადაყვანაში დაეხმარა. გასულ სეზონში რეზო რუსთავის "აზოტის" სრულუფლებიანი წევრი იყო და ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა. მოკლედ, ევროპის ჩემპიონატზე დიდიაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული...

ინტერვიუ რეზო დიდიასთან

ლატვიასა და ბულგარეთს ომს ვუცხადებთ!

- უკრაინული ტურნესთვის როგორ ემზადებოდით?

- თბილისში დღეში სამჯერადი ვარჯიშები გვქონდა. ჯერ ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო მიქაძესთან ვემზადებოდით, შემდეგ ორი ვარჯიშის ჩატარებას ვასწრებდით. ირანთან საკონტროლო მატჩების მერე, ბურთით მუშაობაზეც გადავედით. ვფიქრობ, ასეთი მომზადება უკვალოდ არ ჩაივლის. უკრაინაში ყველა სათამაშო შეცდომას გამოვასწორებთ და წესით, ივლისის დასაწყისში ყოველმხრივ მომზადებულები უნდა ვიყოთ.

- ირანის ნაკრებთან გაჯიბრება რამდენად სასარგებლო იყო?

- სარგებელი ნებისმიერ მატჩს მოაქვს. თუმცა, თავიდან მეტოქის ვარჯიში რომ ვნახეთ, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენზე გაცილებით სუსტი გუნდი იყო. შესაბამისად ცოტა მოვდუნდით კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ორივე შეხვედრა იოლად მოვიგეთ. ახლა ცოტა ჯანზე ვართ, ირანთან რომ ვთამაშობდით, დატვირთვების გამო გადაღლა აშკარად გვეტყობოდა. ასე რომ, დასაწყისისთვის სპარსელებთან დაპირისპირება სასარგებლო იყო, ახლა ერთი საფეხურით მაღლა მდგომ უკრაინელებს გავეჯიბრებით, ხოლო 6 ივლისიდან - ევროპის ტოპ-გუნდებს.

- შეთამაშების მხრივ როგორაა საქმე?

- თავიდან ცოტა გაგვიჭირდა. ჩემს მაგალითს გეტყვით: მიხეილ ბერიშვილისა და ორი აზოტელის (მიხეილ ჭოჭუა და გიორგი ცეკავა) გარდა, აქამდე ნათამაშები არავისთან მქონდა. მაგრამ ნელ-ნელა ერთმანეთს შევეგუეთ და ახლა უსიტყვოდაც ვუგებთ.

- შარშან, ახალგაზრდულ ნაკრებში "რიგითი ჯარისკაცი" იყავი, წლეულს კაპიტანი ხარ...

- პასუხისმგებლობა ერთი-ორად გაიზარდა. მით უმეტეს, რომ ამჯერად არა B დივიზიონში, არამედ ევროპის ჩემპიონატზე გვიწევს თამაში. ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ბულგარეთთან და ლატვიასთან მატჩებს. თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, მათ ომი უნდა გამოვუხადოთ.

- როგორ ფიქრობ, წელსაც იმ პოზიციაზე ითამაშებ, რაზეც შარშან?

- გასულ ზაფხულს ძირითადად, ცენტრის ფუნქციების შესრულება მიწევდა. მე მეხუთე ნომერი ვიყავი, ვიქტორ სანიკიძე - მეოთხე. მაკედონიასთან მატჩში 215 სმ. სიმაღლის სამარძინსკის შეჩერება მქონდა დავალებული, რაც 204 სმ. სიმაღლის კალათბურთელისთვის იოლი ნამდვილად არ იყო. თუმცა ამის გამო არ ვჩივივარ, რადგან გუნდს ასე სჭირდებოდა. წლეულს, ალბათ ცენტრობიდან მძიმე ფორვარდობაზე გადავინაცვლებ, ფარქვეშ ხომ ორი საიმედო მოთამაშე გვყავს - გიორგი შერმადინი და რიჩარდ მათიაშვილი.

- ანუ, იმ ფუნქციებს შეასრულებ, რასაც "აზოტში" ასრულებდი...

- ალბათ, ასე იქნება. რუსთაველთა შემადგენლობაში მეოთხე ნომრის პოზიციაზე ერთმანეთს მე და ვაკო ბეჟანიშვილი ვცვლიდით. არ მახსენდება შემთხვევა, ერთად ვყოფილიყავით მოედანზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწვრთნელის დავით უსტიაშვილის ტაქტიკა მძიმე ფორვარდისგან პერიმეტრზე გასვლას ხშირად ითხოვს, რითაც ეს ამპლუა მსუბუქი ფორვარდისას ემსგავსება.

- "დინამოში" მეორე-მესამე ნომრადაც თამაშობდი. ყველაზე უკეთ თავს სად გრძნობ?

- ახლა სადაც ვთამაშობ - მეოთხე ნომრად. მსუბუქი ფორვარდის კვალობაზე სისწრაფე ცოტა მაკლია. თუმცა, მძიმე ფორვარდებს დაცვაში მეტი დატვირთვა აქვთ და ჯანიც სჭირდებათ...

- "აზოტთან" კონტრაქტის ვადა ამოგეწურა?

- გუნდთან ერთწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებდა და სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი გავხდი. კარიერას სად გავაგრძელებ, ჯერ არვ იცი.

ვაჟა სიმონიშვილი

ახალგაზრდული ნაკრები უკრაინაში

მეორე მარცხი

უკრაინა-საქართველო 62:52

საქართველო: **გაფრინდაშვილი** (2 ქ), **წივწივაძე** (6), **დიდია** (13), **ჭოჭუა** (4), **ფარლალავა** (4), **ფაცაცია** (5), **მათიაშვილი** (2), **ბერიშვილი** (5), **შერმადინი** (13).

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკრაინაში მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მეორედაც დამარცხდა. თუმცა, ამჯერად, პროგრესზე საუბარიც შეიძლება: თუ პირველ შეხვედრაში უკრაინელებმა თამაშის ბედი საწყის 20 წუთში გადაწყვიტეს, გუშინ მასპინძლებმა მესამე პერიოდი ოდენ ერთი ქულის სხვაობით მოიგეს. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებზე გადაწყდა.

თეჩილი

არჩილ მდივანი. 30.06.1911, თბილისი - 13.09.1937, იქვე. ჩოგბურთი. სსრკ სამგზის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში (ედუარდ ნეგრებეცკისთან ერთად, 1934-36). 5 წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ კაცთა ათეულში: 1931 (6 ნომერი), 1932 (6), 1933 (6), 1934 (8), 1935 (5). 1932 წლიდან ცხოვრობდა ლენინგრადში და იყო ამ ქალაქის ჩემპიონი ერთეულთა (1935) და წყვილთა თანრიგში (1932, 35/36). პირველი ქართველი სპორტის ოსტატი ჩოგბურთში (1936). ცნობილი ბოლშევიკის ბუდუ მდივნის შვილი. 1937 წლის აპრილში მოსკოვში დაუპატიმრეს, 13 სექტემბერს კი ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლეს და იმავე დღეს დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1957 წელს.

მავი ზღვის თამაშობები

ტრაბზონი 2007

დიდი ოლიმპიადის პატარა რეპეტიცია

2 ივლისს, ტრაბზონში, ახალ რეგიონულ სპორტულ ღონისძიებას, შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებს ჩაეყრება საფუძველი, რომელიც 8 ივლისს დასრულდება. მისი გამართვის იდეა ჯერ კიდევ 1998 წელს გაჩნდა და მაშინაც თურქეთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ეს საქმე იმავე წელიწადს იზმირში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ჩაშალა. და აი, ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ, პირველი თამაშები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას ემთხვევა, რაც სიმბოლურ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

დავით გობეჯიშვილი, დაეით ნამგალაური, თამაზ თევზაძე

როგორც გუშინ, სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენციაზე გვითხრეს, თურქები საგანგებოდ ემზადებიან თამაშების ღირსეულად მასპინძლობისთვის. ცხადია, მსგავს სპორტულ ღონისძიებებს დიდი ოლიმპიადის პატარა რეპეტიციად აღიქვამენ. ახლაც ასეა, თუმცა ამჯერად ორგანიზატორებმა დიდი ოლიმპიადებისთვის დამახასიათებელი ტრადიცია დაარღვიეს და გახსნის ცერემონიალის სცენარი წინასწარ გაამხილეს. როგორც მასზე დაყრდნობით თამაშების ადმინისტრაციული კომიტეტის წევრმა **თამაზ თევზაძემ** გვითხრა, თურქები გახსნის გრანდიოზულ ცერემონიალს გეგმავენ. წინასწარი მონაცემებით, მას არაფერი ეტყობა პატარებისთვის განკუთვნილი თამაშებისა. ჩიროღდანს თვით **შენოლ გიუნეში**, თურქთათვის ლეგენდარული მწვრთნელი და ისტორიული სპორტული წარმატების შემოქმედი - მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედლის მომგები კაცი გახსნის. გუშინ ისიც გაირკვა, რომ ტრაბზონის ცენტრალურ სტადიონზე გახსნის ცერემონიალს თურქეთის პრემიერ-მინისტრი **რეჯეპ თაიფ ერდოღანიც** დაესწრება.

18-წლამდელთათვის განკუთვნილი ეს თამაშები ოლიმპიური პრინციპით, ყოველ ოთხ წელიწადში გაიმართება და რეგიონის ყველა ქვეყანა უმასპინძლებს. 2010 წელს გასამართი თამაშების მასპინძელი ტრაბზონშივე გაირკვევა.

პირველ თამაშებში 12 ქვეყანა გამოვა: **ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საბერძნეთი, რუსეთი, სერბეთი, მოლდოვა, რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა, საქართველო** და **თურქეთი**. თამაშების პროგრამაშია 10 სახეობა: **მშვილდოსნობა, მძლეოსნობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ველოსიპორტი, ტაეკვანდო, ცურვა** და **ჭიდაობის** ორივე ოლიმპიური სახეობა - "ანტიკურიცა" და "თავისუფალიც". ამასთან, თურქებმა, როგორც მასპინძლებმა, თამაშებს ინვალიდთა სპორტიც დაამატეს და რამდენიმე სახეობაში ისინიც იასპარეზებენ. სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ თამაშების პროგრამაში ძიუდოს შეტანას ვერ მიაღწია, რასაც ადრეულ ეტაპზე დაჟინებით ითხოვდა.

ტრაბზონში რეგიონის 1300 სპორტსმენი იასპარეზებს, მათ შორის 160 ქართველიც იქნება. ჩვენი დელეგაცია 200-კაციანია და მას სახელოვანი მოჭიდავე, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი** უხელმძღვანელებს, დელეგაცია კი ამ თამაშებისთვის საგანგებოდ გაშენებულ "სოფელში" დაბინავდება.

თამაშების ჩატარებაში საქართველოს წვლილი იმითიც განისაზღვრება, რომ დოპინგ-კონტროლი მთლიანად ქართულ მხარეს დაევალა. ამ მნიშვნელოვან საქმეს **პალიკო კასრაძე** და ოთხი ქართველი დოპინგ-ოფიცერი გაუძღვება. ჩვენი დელეგაცია, რომელიც გერმანულმა "ზალერმა" შემოსა, ამ დილით გაემგზავრა ბათუმში, სადაც მათ იქაური ხელისუფლება დღესვე საზეიმო დახვედრას მოუწყობს, ხვალ კი ტრაბზონში ჩავლენ და ზეგ თამაშებში ჩაებმებიან.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

ჯეოსელის თასი

...ამას თუ ათამაშებთ, მე რაღა დავაშავეო?

გუშინ, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე "ჯეოსელის" თასის გათამაშება დაიწყო. ტურნირის მთავარი მონაწილენი ბიზნესმენები და მოყვარულები არიან, თუმც უცხოური დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც ვხედავთ... როგორც იცით, ორგანიზატორებმა შეჯიბრის გამართვა ორ ასაკობრივ ჯგუფში გადაწყვიტეს: 45 წლამდე და 45 წელს ზემოთ. ორივე ასაკში მონაწილეთა რიცხვი თანაბარი აღმოჩნდა - 23. ეს რაოდენობა 4 ჯგუფად დაიყო, სადაც ჩოგბურთელები წრიულად გაეჯიბრებიან ერთმანეთს და პირველ-მეორე ადგილზე გასულები ნახევარფინალურ წყვილებს შექმნიან, კვირას კი ფინალებსაც გათამაშებენ.

ერთეულთა გარდა, მსურველებს წყვილებში თამაშიც შეუძლიათ: ერთ ვარიანტში პროფესიონალ ჩოგბურთელთან შეწყვილების უფლება აქვთ, მეორეში კი მხოლოდ მოყვარულთან უნდა ითამაშოს. ანუ გამოდის, რომ ერთ მონაწილეს სამ ტურნირში თამაშის საშუალება აქვს. სიმართლე გითხრათ, "სრული დატვირთვის" მიღების მსურველთა არსებობის ნაკლებად მწამს, თუმც არც ეს არის გამორიცხული, ვინაიდან წყვილთა პაექრობები დღეს დაიწყება, მონაწილეთა სრული სია ჯერ არ იყო ცნობილი.

მთავარი ინტრიგა მაინც ერთეულთა ტურნირშია და აქ, გარდა იმისა, რომ მასპინძლები ფავორიტად ითვლებიან, არც უცხოელები ჩანან ჯაბანნი. მაგალითად, 45-წლამდელთა შორის საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელს **კარივ ევრეს** პირველივე შეხვედრის შემდეგ უმალ მიანიჭეს ფავორიტის სტატუსი: პოპულარულ ჟურნალისტსა და მსახიობს **ზურაბ შარიას** იოლად აჯობა - 6:0. უნდა აღვნიშნოთ, რომ მატჩები ერთი სრული, კლასიკური სეტისგან - ექვსი გეიმისგან შედგება და გამარჯვებულიც ერთი სეტით ვლინდება. ევრე აშკარად ჩოგბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, იმდენად კარგად ხმარობდა საჩოგბურთო ხერხებს. ამის შემყურე **ლევან რაზმაძემ**, რომელიც ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, აღშფოთება გამოთქვა - ამას თუ ათამაშებთ, მე რაღა დავაშავეო?! შესაძლოა, ფრანგი მართლაც არ არის პროფესიონალი - უცხოეთის უამრავ სასწავლებელში ჩოგბურთს მაღალ დონეზე ასწავლიან და შესაძლოა, მისი ოსტატობაც აქედან მოდის. ასეა თუ ისე, ევრე სერიოზული ძალაა და ქართველებს უთუოდ დიდი ბრძოლა გადახდებათ.

უცხოელთაგან ორი სომეხი სტუმარიც გვყავს - **გაგიკ აირაპეტიანიც** კარგი მეჩოგნე აღმოჩნდა და **არჩილ კეკელია** 6:0 დაამარცხა. ეს ბრძოლაც 45 წლამდე ასაკში ჩატარდა. ამ ასაკში ერთი ამერიკელიც გამოდის, რომლის ოსტატობასაც აქებენ - **დეივიდ უიმბლი** პირველად არ თამაშობს "ჯეოსელის" თასზე. აქ კიდევ ერთი უცხოელის ხილვაა შესაძლებელი: ამერიკელი **ლარი ჰელდისგან** გვარიან ამბიციას ვხედავთ.

45-წლიანებს ზემოთაც შეუძლიათ, ნერვები აუშალონ მასპინძლებს სტუმრებმა, თუმც გვგონია, რომ ქართველი "ჯილები" მთავარი ჯილდოების პატრონები გახდებიან. უპირველესად, **გივი ლაბაძის** გვეიმედება, რომელმაც გუშინ ორჯერ ითამაშა და ორივეჯერ დამაჯერებლად მოიგო - 6:1, 6:0. ლაბაძის ჯგუფში უცხოელი არ არის და აქედან გივის ნახევარფინალში გასვლა არ გაუჭირდება, პირველ ჯგუფში კი **ირაკლი თოფურიძე** და **ზაზა მახარობლიძე**, ორ-ორი გამარჯვებით, სულაც ფავორიტები გახდნენ. მათ ამერიკელი **მარკ ჰესი** ჰყავთ მოცილე. მარკმა **ზურაბ ჯაფარიძეს** 6:4, ხოლო **ჯემალ კუპრავას** 6:1 მოუგო. მესამე და მეოთხე ჯგუფებში უცხოელები არ არიან და, შესაბამისად, ფავორიტებისთვის ხელისშემშლელი ვერ უნდა გამოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ არ ჩანდა - **თეიმურაზ ასათიანი, ილია ღლონტი, ავთო ლომიძე** და **მიხეილ ფრიდმანი** კარგ ფორმაში არიან. ერთია მხოლოდ, რომ ლომიძემ და ფრიდმანმა ერთმანეთში თამაში მოასწრეს და გამარჯვებული ლომიძე გამოვიდა.

დღეს, სისხამ დილიდან, საქმეში წყვილებიც ჩაერთვებიან. აუცილებელია სამივე ტურნირში ჯგუფური ეტაპის დასრულება, რათა კვირას ნახევარფინალები და ფინალები მოესწროს. ფინალის შემდეგ კი დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება და ბოლოს, "შერატონ მეტეხი პალასის" ინიციატივით, აკადემიის ეზოში "ბარბექიუც" მოეწყობა.

ზვიად შათირიშვილი

ჩახნაშვილი წინ მიიწევს

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი **მაკა ჩახნაშვილი** (147) წარმატებით გამოდის პადოვის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. მაკამ საკვალიფიკაციო ბადის ჩათვლით ტურნირში უკვე მეოთხე მატჩი მოიგო. გუშინ მან მერვედფინალში ბელარუსი **დარია კუსტავა** (196) დაამარცხა - 4:6, 6:1, 7:5. იტალიაში მესამე ნომრად განთესილი ჩახნაშვილი მეოთხედფინალში ხორვატ **ჯანა დოზს** (439) შეხვდება, რომელიც ტურნირში "უაილდ ქარდის" წყალობით თამაშობს. ცნობისთვის, მაკა დოზს ორჯერ შეხვედრია და ორივეჯერ მოუგია. ქართველი ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგში რუმინელ **სატმარისთან** ერთად უკვე ნახევარფინალშია გასული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უიმბლდონი

ჩემპიონთა სასაფლაოს მსხვერპლი



კიდევ ერთი სერბი იანკო ტიპსარევიჩი

მარტინა ჰინგისი კი ამბობდა, მეორე კორტის არ მეშინია, რადგან იქ თამაშისას ყოველთვის მიმართლებსო, მაგრამ ხომ იცით, კოკა რომ წყალზე ერთხელ ტყდება, ჩვენს შვეიცარიელ გოგონასაც სწორედ ასე მოუვიდა - გუშინ სწორედ მეორე კორტზე ინვნია მარცხი, კორტზე, რომელსაც ჩოგბურთელები ხშირად ჩემპიონების სასაფლაოდაც მოიხსენიებენ.

ჰინგისი პირველივე წრეში გადაურჩა გავარდნას. მაშინ მისი მეტოქე ტურნირზე უაილდ ქარდით მოთამაშე ბრიტანელი **ნაომი ქეევდეი** იყო. მარტინამ ორი მატჩ პოინტი მოიგერია და რის ვაი-ვაგლახით გააღწია მეორე წრეში. სწორედ მაშინ თქვა, მეორე კორტზე თამაში მომწონს და აქ იღბალი ყოველთვის ჩემს მხარესაა. ისიც დასძინა, რომ წელს უიმბლდონის მომგები არ ვარო.

ასე იყო თუ ისე, მესამე წრეში გასვლა შეძლო, მაგრამ უფრო შორს ვეღარ წავიდა. ამერიკელმა **ლაურა გრენვილმა** საკმაოდ იოლად მოახერხა საბალახო სლემ-ტურნირის ოდინდელი ჩემპიონის (ჰინგისს უიმბლდონი 1997 წელს აქვს მოგებული) დამარცხება.

შეგახსენებთ, რომ შარშანაც, დაბრუნებიდან პირველივე სეზონში, ჰინგისი უიმბლდონს მესამე წრეში გამოეთიშა.

კიდევ ერთი ტიტულოვანი მეჩოგნე, თუმცა არა ფავორიტი, ვინც უიმბლდონს მესამე წრეში დააკლდა, არის ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში დათმო შესანიშნავად მოთამაშე სერბ **იანკო ტიპსარევიჩთან**. ჩილელმა სერბი ცოტა ხნის წინათ, "სტელა არტუას" ჩემპიონატზე დაამარცხა. გუშინ კი, მას შემდეგ, რაც ტიპსარევიჩმა მეორე სეტი მოიგო და სეტებში 2:1 დაწინაურდა, გონსალესმა ჯავრი ჩოგანზე იყარა. თითქოს, ამან შედეგიც მისცა, მომდევნო სეტი თავად მოიგო და თამაშის მოგების შანსიც გაუჩნდა, მაგრამ...

სამი სეტი შეხვედრა საკმაოდ დუნედ მიდიოდა. ტიპსარევიჩს თითქოს მეოთხე სეტში უნდა მოეთავებინა ხელი მეტოქისთვის. ყოველ შემთხვევაში, ცხრა გეიმის შემდეგ ის 5:4 იგებდა და მატჩზეც აწოდებდა. მაგრამ გონსალესმა ბრეიკი აიღო და ტრიბუნაც გამოაცოცხლა.

გადამწყვეტ ხელში, უპირატესობა ჩილელს ჰქონდა. რვა გეიმის შემდეგ ის 5:3 იგებდა, მაგრამ ტიპსარევიჩმა საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო. ანგარიში 6:5 რომ იყო, სერბის სერვისზე ჩილელმა კიდევ ერთხელ მიიღო მატჩ პოინტი, მაგრამ ხელუკუღმა დარტყმული ბურთი ბადეს მოახვედრა. ტიპსარევიჩმა თავისი სერვის-გეიმი რომ მოიგო, მომდევნო გეიმში ბრეიკი ბადესთან გასვლით აიღო და ამით, პრაქტიკულად, შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა.

მოკლედ, ტიპსარევიჩი კიდევ ერთი სერბი მეჩოგნეა, ვინც ბოლო ხანებში საჩოგბურთო კაბადონზე გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ღიაზე ნახევარფინალში ამ ქვეყნის სამმა ჩოგბურთელმა - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ანა ივანოვიჩმა** და **ელენა იანკოვიჩმა** ითამაშა.

აი, როგორ ხსნის სერბთა აღმავლობას თავად ტიპსარევიჩი: *"ხალხი მეკითხება, როგორ ვახერხებთ სერბი ჩოგბურთელები ასე კარგად თამაშს? - საიმარი მოქმედებიდან ცოტა ხანში, სერბი სპორტსმენები საერთაშორისო არენაზე ასე კარგად გამოვდივართ. იქნებ, ეს ნატო-ს დაბომბვების დამსახურებაა, რამაც ჩვენში სპორტის განვითარებას შეუწყო ხელი? ომის დროს ჩვენთან მართლაც ძალიან გაძნელებული იყო ყველაფერი - არც ფული, არც სპონსორები, არც ფედერაცია. არავის ვადანაშაულებ. უბრალოდ, ქვეყანა ომში იყო ჩართული, ჩვენ კი ჩოგბურთში ვვარჯიშობდით. როგორ მოვედით აქამდე? ალბათ მონდომების წყალობით".*

გონსალესმა კი თავისი წაგება ქარიან ამინდს დააბრალა - საითაც ვიდექი, ქარიც იქით უბერავდაო. *"ქარი ორივე ჩოგბურთელს უშლის ხელს, მაგრამ ამ შემთხვევაში, სიტუაციას მე ვერ ავუღელოო და ამიტომაც წავაგე. რატომღაც, ზანტად ვირჯებოდი. მოკლედ, ეს ის თამაში არ იყო, რომლითაც შემდეგ წრეში უნდა გავსულიყავი".*

ტიპსარევიჩის მსგავად, ძნელი ბრძოლა გადახდა იანკოვიჩსაც, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა ჩეხი **ლუსი საფაროვას** დასამარცხებლად. რა თქმა უნდა, გამარჯვება სასახელოა, მაგრამ თამაში რომ მორჩა, მაყურებელმა პირველ რიგში, ოვაციით ჩეხი მეჩოგნე დააჯილდოვა.

"ლუსიმ მართლაც დაიმსახურა ეს ოვაციები. იყო მომენტები, როცა გამოსავალს ვერ ვხედავდი. მაგრამ ბოლომდე ვიბრძოდი. სწორედ ამან გადამარჩინა", - განაცხადა იანკოვიჩმა, ვინც უიმბლდონამდე ეჯბასტონის ტურნირი მოიგო, დენ ბოსხის ტურნირზე კი ფინალს მიაღწია, პირველ ორ წრეში კი მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო მეტოქეებს.

პირველ სეტში, იანკოვიჩი 3:1 დაწინაურდა, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისი პრობლემები. საფაროვამ აგრესიას უმატა. მან საპასუხო ბრეიკიც მოიპოვა და სეტის მიწურულს, კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის სერვისზე. მეორე სეტში ორივეს ტრავმებმა შეახსენა თავი. ჩეხს მარჯვენა მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი, სერბს კი ბარძაყების კუნთები დაეჭიმა. მაგრამ ამან მათი ბრძოლისუნარიანობა ვერ დააცხრო. ეგ კი არა, მეექვსე გეიმი ოცი წუთი გაგრძელდა. ამ გეიმში მომწოდებელი საფაროვა იყო, ვინც ოთხი ბრეიკ პოინტი მოიგერია, თავად კი გეიმის მოგების ექვსი შანსი გაანიავა. სამაგიეროდ, მეშვიდე შანსი ქუულად აქცია და სეტში ანგარიში გაათანაბრა - 3:3. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც გამარჯვებას იანკოვიჩმა მიაღწია.

სანამ მესამე სეტი დაიწყებოდა, ისევ გაწვიმდა, რამაც სერბის სასარგებლოდ იმოქმედა. თამაში რომ განახლდა, ჩეხმა უწინდელი ტემპის აკრეფა ვეღარ შეძლო და თითქმის უბრძოლველად დამარცხდა.

მესამე წრე განვლო ესპანელმა **ხუან კარლოს ფერერომაც**. ამ კაცისთვის ბალახი იგივეა, რაც თევზისთვის ხმელეთი. მაგრამ ნადალისა არ იყოს, "მოსკიტომაც" (ფერეროს მეტსახელია) დაამტკიცა, რომ ესპანელებს ბალახზე თამაშიც შეუძლიათ. თანაც, ფერერომ ისეთი ძლიერი მეტოქე მოინელა, როგორიც ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკია**. ისე, ფერეროსთვის უიმბლდონის მეოთხე წრე უცხო ტერიტორია ნამდვილად არაა. აქ, ამ ეტაპზე მას ორჯერ, 2003 და 2005 წლებში უთამაშია, მაგრამ ორივეჯერ წააგო. ახლა კი ტიპსარევიჩთან ექნება საქმე.

"ბალახზე თამაში ძნელია, ამას განსაკუთრებული ჩვევები სჭირდება, მაგრამ მე ამ კორტებზე თამაში ყოველთვის ძალიან მსიამოვნებდა. ისე, იმისაც ვიტყვი, რომ ბოლო ხანებში, აქაური კორტები სულ უფრო ნელდება. ალბათ ამიტომაა, რომ ესპანელები უფრო ხშირად ვახერხებით თავის გამოჩენას", - ამბობს ფერერო.

სხვა ბევრი შეხვედრაც იყო საინტერესო, მაგრამ ალბათ მართლები არ ვიქნებით, თუ **როჯერ ფედერერისა** და რუსი **მარატ საფინის** დაპირისპირებაზე არ ვიტყვით ორიოდ სიტყვას. მათ დუელს ბევრი ელოდა. ფედერერს ორი წლის წინათ, ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში ნაგებისთვის რევანშიც სწყუროდა. ჰოდა, წადილიც აისრულა - სამ სეტში აჯობა ნერვებსაყოლილ მეჩოგნეს, ვინც მესამე სეტშიღა გაიხსენა, რომ ოდესღაც ისეთივე მაგარი ბიჭი იყო, როგორიც ახლა ფედერერია. შედეგად კი მხოლოდ ის მიიღო, რომ საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა.

"ვერ ვიტყვი, რომ მე ფენომენალურად ვითამაშე. უბრალოდ, მარატის წინააღმდეგ ყველაზე ოპტიმალური ტაქტიკა ავირჩიე. ოუმცა, რა დაგიმალოთ და, სანამ კორტზე გამოვიდოდი, ძალიან ვინერვიულე. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ შორის ყოველთვის დაძაბული პაექრობა იმართება ხოლმე. ის ხომ ჯოჯოხეთურად ძლიერი მეტოქეა", - განაცხადა ფედერერმა, ვისაც მომდევნო ეტაპზე მეტოქეობას გერმანელი **ტომი ჰაასი** გაუწევს.

მერაბ ლორთქიფანიძე

კაცები

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-მარატ საფინი (რუს, 26) 6:1, 6:4, 7:6(4); **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:3, 6:4, 7:6(2); **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5) 6:3, 3:6, 6:3, 4:6, 8:6; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 20)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9) 3:6, 6:3, 6:3, 7:6(4); **რიშარ გასკე (საფ, 12)**-ედუარდ როჟე-ვასელინი (საფ) 6:3, 6:4, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 13)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21) 1:6, 6:4, 7:6(5), 5:4; **პოლ-ანრი მატიე (საფ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორ, 15) 4:6, 7:5, 6:2, 6:3; **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ)**-ფელიციანო ლოპესი (ესპ) 6:3, 7:6(4), 6:3

ქალები

მესამე წრე

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25) 5:7, 7:6(4), 6:2; **სერანა იულიამსი (აშშ, 7)**-მილაგროს სეკერა (ვენ) 6:1 6:0; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 31)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8) 7:6(8), 6:7(5), 6:2; **ლაურა გრენვილი (აშშ)**-მარტინა ჰინგისი (შვეი, 9) 6:4, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 10)**-კატარინა სრებტნიკი (სლო, 19) 2:6, 6:3, 6:4; **პატი შნიდერი (შვეი, 15)**-ალონა ბონდარენკო (უკრ, 24) 6:4, 3:6, 8:6; **მარიონ ბარტოლი (საფ, 18)**-შაჰარ პეერი (ისრ, 16) 6:3, 6:2

TV სპორტი

30 ივნისი. შაბათი

იმედი

00:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-ურუგვაი (LIVE).
02:20 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-პერუ (LIVE).

HTB-ესპანი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა.
14:05 საფეხბურთო კლუბი.
14:50 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეფურნალი.
15:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:35 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. მონაკო-დეპორტივი.
17:25 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-აშშ.
19:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
21:20 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ლოკომოტივი-დინამო.
23:15 ტოქ-შოუ - 2:1.
00:00 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-ურუგვაი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-ბარსელონა.
08:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
10:35 სპორტკლუბი.
10:50 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დი სი იუნაიტედი.
12:35 სპორტის სამყარო.
13:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:35 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ინდონეზია.
16:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.
17:40 მინი-მოედანი.
18:05 ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.
20:09 კრივი. რინგ-საიდი.
21:09 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლაციო.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-გრემიო (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-ბარსელონა.
02:45 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დი სი იუნაიტედი.
04:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ინდონეზია.

EUROSPORT

10:30 ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე). ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
17:00 ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე). ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი.
18:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. მანიკური. საფრანგეთი (LIVE).
19:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
20:00 მულტისპორტი.
20:30 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ბაქო. აზერბაიჯანი.
22:30 ცხენოსნობა. ჩემპიონთა ტური. კონკური. მონაკო (LIVE).
00:00 მულტისპორტი.
00:45 ბრძოლა ნესების გარეშე.
02:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ექსტრემალური სპორტი.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. 1/2 ფინალი. ქალები. ნორვეგია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. გერმანია-უკრაინა. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
16:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. პოლონეთი-უნგრეთი. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
17:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. 1/2 ფინალი. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
18:45 ახალი ამბები.
19:00 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ULEB-ის ყველა ვარსკვლავი-მაკაბი. იტალია (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:15 სერფინგი.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ULEB-ის ყველა ვარსკვლავი-ბენეტონი. იტალია (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა, თურქეთი-ნორვეგია. ათენი. საბერძნეთი.
00:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. საბერძნეთი-ისრაელი. ათენი. საბერძნეთი.
01:15 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ULEB-ის ყველა ვარსკვლავი-რომა. იტალია (LIVE).
02:15 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი.
03:00 ახალი ამბები.

1 ივლისი. კვირა

იმედი

00:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ჩილე (LIVE).
02:20 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ეკვადორი-მექსიკა (LIVE).

HTB-ესპანი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:00 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-ურუგვაი.
14:05 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-პერუ.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
17:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ინტერი-არსენალი.
19:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:00 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-ურუგვაი.
21:45 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-პერუ.
23:30 არასაფეხბურთო ისტორიები.
00:00 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ჩილე (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.
09:05 მინი-მოედანი.
08:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლაციო.
11:20 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
11:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია.
13:25 სპორტის სახეები.
13:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-გრემიო.
15:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰალე. გერმანია.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.
20:05 კრივი.
20:20 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
22:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
22:30 სპორტის სამყარო.
23:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია.
00:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლაციო.
02:30 სპორტის სახეები.
03:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-გრემიო.
04:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
06:30 სპორტის სამყარო.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. მანიკური. საფრანგეთი.
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. მანიკური. საფრანგეთი (LIVE).
12:45 ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე). ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
14:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ნორვეგია (LIVE).
15:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. სერბეთი.
16:00 ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე). ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
18:30 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ნორვეგია (LIVE).
20:45 მულტისპორტი.
21:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეფურნალი.
22:00 კრივი.
00:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-ბულგარეთი. პოლონეთი.
01:30 ახალი ამბები.
01:45 სნუკერი.
02:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეფურნალი.
03:15 ახალი ამბები.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:30 სერფინგი.
11:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. სერბეთი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთახი. საფრანგეთი (LIVE).
14:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იაპონია-საფრანგეთი. იაპონია.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. შვედეთი (LIVE).
16:00 პლაჟის ფეხბურთი.. ევროლიგა. ინგლისი-პოლონეთი. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ფინალი. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. შვედეთი (LIVE).
19:00 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ფინალი. იტალია (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:15 სერფინგი.
21:30 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კანადა (LIVE).
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
01:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჩეხეთი-გერმანია. ათენი. საბერძნეთი.
02:15 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი.
03:00 ახალი ამბები.

სხეული ხეზი

ფეხბურთი

ფინეთი

ლაპტი-ვიტკინგიტი	0:2
ბურკე-ბამპერე	1:3

ირლანდია

სტ. პატრიკ-დერი	2:1
შელბურნ-ბოჰემიანი	0:0

დევიდ სტერნი და გრეგ ოდენი

NBA. დრაფტი 2007

ორეგონში ბუმია: ოდენი შაკია!

"მედისონ სკვერ გარდენში" დრაფტის პირველი წრე გახურებული რომ იყო, დარბაზში დამონტაჟებულ გიგანტურ ტელემონიტორზე პირდაპირ ეთერში **გრეგ ოდენი** ჩართეს.

"დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის. "ტრეილ ბლეიზერსი" დიდი ტრადიციების მქონე ორგანიზაციაა და იმ შესანიშნავ ხალხთან ერთად, ვინც დღეს გუნდში მუშაობს და ორეგონისთვის საჩემპიონო გუნდის დაბრუნებას ცდილობს, შევეცდები გულშემატკივრებს დიდი სიხარული მოვუტანო", - განაცხადა გრეგმა.

"პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" დრაფტის პირველ ნომრად უნიჭიერესი ცენტრი გრეგ ოდენი აიყვანა და დამდეგ სეზონში, მთელი ყურადღება ამ გუნდისკენ იქნება მიპყრობილი.

ვის აღარ ადარებენ ამ 19 წლის ბიჭს. **შაკილ ონილი, ტიმ დანკანი, ჰაკიმ ოლაჯუონი, ალონზო მურნინგი** - ამ ბობოლებთან ერთად გრეგის სახელს მას მერე ახსენებენ, რაც ოდენმა შარშანდელი სტუდენტური სეზონის ერთ-ერთ მატჩში 29 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება, 4 პასი და 3 ჩაჭრა დააგროვა.

32 შეხვედრაში გრეგის საშუალო მონაგარმა 15.7 ქულა, 9.6 მოხსნა, 3.55 დაფარება და 0.75 ჩაჭრა შეადგინა.

მისი გუნდი ჩემპიონი ვერ გახდა (ფინალი დათმო), მაგრამ გრეგი სეზონის მთავარ მოვლენად იქცა. 14 ორმაგი დუბლი, ხუთი 20-ქულიანი შეხვედრა, 15-ჯერ 10 და მეტი მოხსნა და შვიდი მატჩი, რომლებშიც იგი მინიმუმ 4 დაფარებას უყრიდა თავს.

"ბლეიზერსის" დარბაზ "როუზ გარდენთან" კი ნამდვილი არმაგედონი იყო. საშინელ ჭყლეტაში ერთ-ერთ ჟურნალისტს ნოუთბუქი დაუმტვრიეს, ფოტოკორესპონდენტს აპარატი წაართვეს (მერე გატეხილი დაუბრუნეს), ხალხი კი ცდილობდა, მაქსიმალურად ახლოს მისულიყო უზარმაზარ ეკრანთან, სადაც ნიუ იორკში დრაფტს პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ.

ოდენს ორეგონში საკმაოდ კარგი შემადგენლობა დახვდება.

"პორტლენდს" ჰყავს შარშანდელი რეგულარულის საუკეთესო ახალბედა **ბრენდონ როი,** კიდევ ერთი დებიუტანტი და ასევე უნიჭიერესი მოთამაშე, ცენტრი **ლამარკუს ოლდრიჯი,** "ნიქსიდან" გაცვლით აყვანილი **ჩეინინგ ფრაი,** გამოცდილი **სტივ ფრენსისი,** კარგი ცენტრი **ჯამაალ მაგლოირი,** კიდევ ერთი ძლიერი მეფარე **დარიუს მაილზი** (რომელსაც მთელი შარშანდელი სეზონი ტრავმების გამო გაუცდა) და ესპანური ტანდემი **სერხიო როდრიგესისა** და **რუდი ფერნანდესის** სახით.

ფლეი ოფისთვის ბრძოლა რეალურია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ფეთქებადი ახალგაზრდებით შევსებულ გუნდს პირველივე სეზონში ამის გაკეთება გაუჭირდეს.

მოლოდინისამებრ, მეორე ნომრად "სიეტლმა" **კევინ დიურანი** აიყვანა.

60 მედრაფტეში 14 ლეგიონერია - **ჟი ქსიანლიანი** (ჩინეთი, "მილუოკი"), **იოაკიმ ნოა** (საფრანგეთი, "ჩიკაგო"), **მარკო ბელინელი** (იტალია, "გოლდენ სტეიტი"), **რუდი ფერნანდესი** (ესპანეთი, "პორტლენდი"), **ტიაგო სპლიტერი** (ბრაზილია, "სან ანტონიო"), **პეტერი კოპონენი** (ფინეთი, "პორტლენდი"), **კირილ ფესენკო** (უკრაინა, "ფილადელფია"), **სტანკო ბარაცი** (ბოსნია, "ინდიანა"), **სუნ იუ** (ჩინეთი, "ლეიკერსი"), **მარკ გასოლი** (ესპანეთი, "ლეიკერსი"), **რენალდას სეიბუტისი** (ლიტვა, "დალასი"), **ბრედ ნიული** (ავსტრალია, "ჰიუსტონი"), **გიორგოს პრინტეციისი** (საბერძნეთი, "სან ანტონიო") და **მილოვან რაკოვიჩი** (სერბეთი, "დალასი").

პირველი წრე

1. პორტლენდი	ბრეგ ოდენი (ცენ)
2. სიეტლი	კევინ დიურანი (ფორ)
3. ატლანტა	ელ ჰორფორდი (ფორ)
4. მემფისი	მაიჰ კონლი (მცვ)
5. ბოსტონი*	ჯეფ გრინი (ფორ)
6. მილუოკი	ჟი ძსიანლიანი (ფორ)
7. მინესოტა	კორი ბრიუერი (ფორ)
8. შარლოტი*	ბრენდენ რაიტი (ფორ)
9. ჩიკაგო	იოაკიმ ნოა (ფორ)
10. საკრამენტო	სპენსერ ჰოუსი (ცენ)
11. ატლანტა	ეისი ლო (მცვ)
12. ფილადელფია	ტადეუს იანგი (ფორ)
13. ნიუ ორლეანი	ჯულიან რაიტი (ფორ)
14. კლიპერსი	ელ ტორნტონი (ფორ)
15. დეტროიტი	როლნი სტაკი (მცვ)
16. ვაშინგტონი	ნიკ იანგი (მცვ)
17. ნიუ ჯერსი	ჯონ უილიამსი (ფორ)
18. გოლ. სტეიტი	მარკო ბელინელი (მცვ)
19. ლეიკერსი	ჯ. გრიტენტონი (მცვ)
20. მაიამი*	ჯეისონ სმიტი (ცენ)
21. ფილადელფია	დიმეონ კუპი (მცვ)
22. შარლოტი	ჯეერედ დადლი (ფორ)
23. ნიუ იორკი	უილსონ ჩენდლერი (ფორ)
24. ფინიქსი*	რუდი ფერნანდესი (მცვ)
25. იუტა	მორის ალმონდი (მცვ)
26. ჰიუსტონი	აარონ ბრუქსი (მცვ)
27. დეტროიტი	არონ აფლალო (მცვ)
28. სან ანტონიო	ტიაგო სპლიტერი (ფორ)
29. ფინიქსი	ალანდო ტაპერი (ფორ)
30. ფილადელფია*	პ. კოპონენი (მცვ)

*შენიშვნა: * - "ბოსტონმა" გაცვლის შედეგად ჯეფ გრინი "სიეტლში" გაუშვა, "შარლოტმა" ბრენდენ რაიტი - "გოლდენ სტეიტში", "მაიამიმ" ჯეისონ სმიტი - "ფილადელფიაში", "ფინიქსმა" რუდი ფერნანდესი - "პორტლენდში", "ფილადელფიამ" პეტერი კოპონენი - "პორტლენდში".*

ზურაბ თალაკვაძე

NBA. ტრეიდები

ალენი სელტიქსში გააგრძელებს . . .

კევინ დიურანის მეორე ნომრად არჩევამ "სიეტლში" ისეთი ქარბუქი დაატრიალა, თქვენი მოწონებული. გუნდის ბოსები უნიჭიერესი მედრაფტის აყვანით უზომოდ კმაყოფილნი კი დარჩნენ, მაგრამ სახელფასო ლიმიტის რაციონალურად გადანაწილებისა და ორგანიზაციის მომავლის სწორად წარმართვის გამო, **რეი ალენთან** გამოთხოვება მოუწიათ.

ალენი, რომელიც NBA-ის ისტორიაში ზუსტი სამიანებით მხოლოდ ლეგენდარულ **რეჯი მილერს** ჩამორჩება, კარიერას ლიგის ყველაზე ტიტულოვან გუნდში "ბოსტონ სელტიქსში" გაარძელებს, მასთან ერთად, **დოკ რივერსის** "სიეტლმა" 35-ე ნომრად **გლენ დევისის** არჩევის უფლება მიიღო. რეის სანაცვლოდ "ზებგერითები" ვეტერან ფორვარდს, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" ერთგზის მონაწილე **უოლი შჩერბიაკს,** ნიჭიერ გამთამაშებელ **დელონტე უესტსა და** სპეციალისტთა აზრით, ამ დრაფტის ფარულ ფენომენს, მეხუთე ნომერ **ჯეფ გრინს** იმატებენ.

რატომ შეელია "სიეტლი" თავის ყველაზე საიმედო, გამოცდილ, რეიტინგულ და საუკეთესო მოთამაშეს?

ალენის წლიური ანაზღაურება 17 მილიონს ურტყამს. რეის გუნდთან ერთად კიდევ ორი სეზონი უნდა ჩაეტარებინა და მისი ხელფასი ბოლო წელს, 22 მილიონს მიუკაკუნებდა, რაც "სიეტლის" ბოსებს არანაირად არ აწყობდათ.

გუნდს ყველანაირად სურს **რაშარდ ლიუისის** შენარჩუნება და მიუხედავად იმისა, რომ ამ ბიჭმა ლამის ბუნტი მოაწყო - ამ უმოტივაციო ორგანიზაციაში ჩემი ფეხი აღარ იქნებაო, ყველაფერი, ისევ და ისევ, ფულს უკავშირდებოდა. "სონიქსი" ლიუისს მის მიერ მოთხოვნილ თანხას ალენის გამო ვერ გადაუხდიდა, ახლა კი რაშარდს ყველა კოზირი ხელთ აქვს და მაქსიმალური ანაზღაურების მოთხოვნაც სავსებით რეალურად შეუძლია.

გარდა ამისა, დიურანი ორი-სამი წლის მერე თავისუფალი აგენტი რომ გახდება, გრძელვადიანი ხელშეკრულება მასთანაც აუცილებლად უნდა გაფორმდეს, ალენის კონტრაქტს კი, იქნებ ამისთვისაც შეეშალა ხელი.

შარშან, რეი ალენმა კარიერის რეკორდი დაამყარა, როცა ქულათა საშუალო მარაგი 26.4-მდე აიყვანა, თუმცა ტრავმების გამო ლიდერს 27 თამაში გაუცდა. იანვარში, "ჯაზის" წინააღმდეგ შეხვედრაში, რეიმ 54 ქულით კიდევ ერთი პირადი რეკორდი დაამხო.

შჩერბიაკს კარიერის საუკეთესო წლები ზურგს უკან აქვს მოტოვებული, მაგრამ ამ კაცს ერთ მატჩში 13-14 ქულის გაკეთება მაინც არ უნდა გაუჭირდეს. გააჩნია, რა დროს გამოუყოფენ **კევინ გარნეტის** ყოფილ თანაგუნდელს, რომელიც თავის დროზე "მინესოტიდან," ისევ და ისევ, გარნეტის მოთხოვნით გაუშვეს - კევინმა უოლის "ოლსთარობა" ვერ აიტანა. შარშანდელ რეგულარულში შჩერბიაკმა სამი მიკროტრავმის გამო მხოლოდ 32 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გაცვლის კიდევ ერთი მონაწილე, დელონტე უესტი კი ახალ გუნდს ნებისმიერ შემთხვევაში გამოადგება და იქნებ სასტარტოდან **ლიუკ რიდნურიც** კი ამოაგდოს.

. . .

მეორე დიდი გაცვლის მონაწილეებად კი "ნიუ იორკი ნიქსი" და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" იქცნენ.

თავისთავად ცხადი იყო, რომ ორეგონელები არაფრის დიდებით არ დაიტოვებდნენ უდავოდ ნიჭიერ, მაგრამ მოურჯულებელ ფორვარდ **ზაკ რენდოლფს.** აქ მისი ხასიათი და კრიმინალური აწმყო არაფერ შუაშია, უბრალოდ, გუნდმა აიყვანა **გრეგ ოდენი,** შარშანდელი მედრაფტე ლამარკუს ოლდრიჯი ყოველდღე უმატებს და ძვირადღირებული ზაკიც ბალასტი გამოდგა. თანაც, "პორტლენდს" რენდოლფის გაცვლისას, მისი სავარაუდო მომავალი გუნდიდან ამავე ამპლუის მინიმუმ ერთი მოთამაშე უნდა მიეღო.

საბოლოოდ, ზაკი "მედისონ სკვერ გარდენში", **აიზია ტომასსთან** ცდის ბედს, "ტრეილ ბლეიზერსმა" კი ნიჭიერი ფორვარდი **ჩეინინგ ფრაი** და თვით **სტივ ფრენსისი** მიიღო.

"ნიქსმა" დრაფტზეც დაახლოებით რენდოლფის ყაიდის ახალგაზრდა აიყვანა. საუბარია დეპოლის უნივერსიტეტის ფორვარდ **უილსონ ჩენდლერზე,** რომელმაც შარშან, სტუდენტურ ლიგაში ერთ მატჩში საშუალოდ 14.6 ქულა და 7.0 მოხსნა დააგროვა.

"ნიქსს" კი ან ფრენსისი უნდა გაეშვა ან მასსავით ასაკში შესული და დიდხელფასიანი გამთამაშებელი **სტეფონ მარბერი.** ტომასმა მარბერი არჩია, რომელსაც შეტევაში ძლიერ რენდოლფთან ერთად კონფერენციაში გამორჩეული ტანდემის ჩამოყალიბება შეეძლება.

დღის ყველა გაცვლა

1. **ფილადელფია-პორტლენდი:** "სიქსერზმა" მიიღო 42-ე ნომრის, **დერიკ ბიარსის** არჩევის უფლება და დაუზუსტებელი თანხა, "ბლეიზერსმა" კი 30-ე ნომრად ფინელი **პეტერი კოპონენი** აირჩია.

2. **შარლოტი-გოლდენ სტეიტი:** "ბობქეთსში" გადადის გამოცდილი მსროელი **ჯეისონ რიჩარდსონი,** გუნდი ასევე იღებს 36-ე ნომერ **ჯერმარეო დეივიდსონს,** "გოლდენ სტეიტმა" კი სანაცვლოდ მე-8 ნომერი **ბრენდენ რაიტი** აირჩია.

2. **პორტლენდი-ფინიქსი:** "ფინიქსმა" დაუზუსტებელი თანხის სანაცვლოდ, "პორტლენდს" ესპანელი **რუდი ფერნანდესი** (24-ე ნომერი) დაუთმო.

3. **მაიამი-ფილადელფია:** "მაიამიმ" მიიღო **დიქეონ კუკი,** 2009 წლის დრაფტის მეორე წრეში მოთამაშის არჩევის უფლება და დაუზუსტებელი თანხა, "სიქსერზში" კი **ჯეისონ სმიტი** გადავიდა.

4. **პორტლენდი-ნიუ იორკი:** დღის ყველაზე მასშტაბური გაცვლა. "პორტლენდში" კარიერას ფრენსისი და ფრაი გააგრძელებენ, "ნიქსის" ღირსებას კი რენდოლფი, დიკაუ და ჯოუნსი დაიცავენ.

5. **ბოსტონი-სიეტლი:** "სელტიქსმა" რეი ალენი და 35-ე ნომერი დევისი მიიღო, ხოლო "სიეტლმა" კი გაცვლის შედეგად უესტი, შჩერბიაკი და მე-5 ნომერი, გრინი დაიმატა.

6. **ორლანდო-ჰიუსტონი:** "როკეტსმა" დრაფტში ავსტრალიელი **ბრედ ნოული** (54-ე) აიყვანა, "მეჯიქმა" კი მასში დაუზუსტებელი თანხა მიიღო.

ზურაბ თალაკვაძე

რეი ალენი

სპორტული გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანელიაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ნათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგნანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 ³,
0159 თბილისი
(დელომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა